


K 20916
2

କୋରେ ଏମାର-କୁଳ ଶିଖ

ପ୍ରକାଶକ
ପ୍ରକାଶକାଳ

K 20.916.
2



ଅନ୍ତର୍ଦ୍ଦଶ ମୁଦ୍ରା ମରାଗାଙ୍ଗାଳ.

1927

ସାହେଲିଧାମ



ჯელილ მემედ-ქული ზადე




894.3

„გიცვალებული“

კომიტი ითა მოძიებებად

აზერბეიჯანულიდან თარგმნილი

მემედ აბაშიძის მიერ



სახელმწიფო გამოცემა-განვითარება.

1927



100 පාරියා සංඛ්‍යාව
06-2000

මිනාදුලිග්‍රී No 1853.

පුස්ටුතා 447.

රුපෝදු 2,000

පොලොග්‍රෑස් මූල්‍ය ප්‍රතිඵලි 2-රු ස්ක්‍රාම්බා, ලැයිනිනිස් ජ්, No 3.

მომზადები პირი:

შეიხ ნესრულლაშ, მოძღვარი 45 წლისა.

მამა ახმედ, მოძღვარი, ნესრულაშის მოწაფე, 40 წ.
ჰაჯი, ¹⁾ ჰასან, გავლენიანი პირი ქალაქში, 50 წ
ქერბელაშ ²⁾ ფატიმე-ხანუმ, ჰაჯი ჰასანის მეულ-
ე, 45 წ.

ისკენდერ, ჰაჯი ჰასანის უფროსი შვილი, 25 წ.

ჯელალ, ჰაჯი ჰასანის უმცროსი შვილი, 10 წ.

ნაზლი, ჰაჯი ჰასანის ქალიშვილი, 11 წ.

ზეინებ, ჰაჯი ჰასანის მოსამსახურე ქალი, 20 წ.

ალი, ჰაჯი ჰასანის მოსამსახურე, 18 წ.

ჰაჯი ბეზშ-ალი

ჰაჯი ქერიმ
 ჰაჯი ქაზიმ } მორწმუნები, 40-50 წლისანი.

მეშქედი ³⁾ ოროჯ, 35 წლ.

თუქეზიბან, მეშქედ ოროჯის დედა, 50 წ.

მირ ბააკერ ალა, სეიდი, ⁴⁾ 35 წ.

ჰაიდარ ალა, ფოსტის მოხელე, 45 წ.

ალი-ბეგ, მოხელე, თარჯიმანი, 35 წ.

მირზა-ჰასან, მასწავლებელი, 40 წ.

სამი აჩალგაშრდა ქალიშვილი, კაცები, შეიცარალებული მხჯებლები,
ავალმყოლები, ხალხი.

¹⁾ ჰიჯაზის მხარეში, ქალაქ მექებში არის წმინდა ადგილი დ
მიჩნეული „ქაბე“. ვინც იქ სალოცავად წავა, ჰაჯის სახელს ატარებს.

²⁾ ქერბელა - სალოცავი ადგილია ირაკში იქ ნამყოფი
ქერბელაშის სახელს ატარებს.

³⁾ მეშქედ - სალოცავი ადგილი სპარსეთში.

⁴⁾ სეიდი - წინასწარმეტაცელის შთამომავალი.

მოძღვანება პირველი

ჰაჯი ჰასანის სახლი. სცენა წარმოადგენს ისკენდერის ოთახს, სად კ სდგას ერთი საწილი, ძველი მაგიჭა და სკამი. მაგიჭაზე დევს რან-დენიშვი წიგნი. იატაკი მოგებულია ხალიჩით. ხალიჩაზე დაწოქილები სხედან და მეცადინეობენ ჯელალ და მასწავლებელი მირზა-ქასან. მათ შეუ დევს ხისაგან გაყეოებული წიგნის დასადები „რიხქლე“, სი-გრძით—ორი მტკაცელი, ხოლო სიგანით—მტკაცელნახევარი.

ჯელალ. (რიხქლეზე წიგნი შფეს და ჩათვლით კითხულობს), რო-
მე-ლი-მან შე--ქი-მი-ნა სამ-ყარო.

მასწავლებელი. (ხმა მაღლა). რომელმან შექმნა!

ჯელალ. რომელმან შექმნა სამყარო... ძა-ლი-თა მი-თი
ძლი-ერე-ბითა.

მასწავლებელი. (ხმა მაღლა) ძალითა მით ძლიერითა!

ჯელალ. ძალითა მით ძლიერითა... ზე-ზე გარდ-გარდ-მო
ზეგარდმო არსნი სუ-ლი-თა ჰყვნა ზე-ცით მო-
ნა-მონა-ბერისა.

მასწავლებელი. (ხმა მაღლა) მონაბერითა!

ჯელალ. მონაბერითა... მის-მისგან ა-არს მისგან არს. ყო-
ველი ხელ-მწი-ფე სახი-თა მის მერმისა.

მასწავლებელი. სახითა მის მიერითა!

ჯელალ. სახითა მის მიერითა... ჰე, ღმერ-თო ერ-თო...
ჰაჯი ქერიმ. (სწრაფად და ქშენით შემოდის). ბიძია ჰაჯი ჰა-
სანი სახლში ბრძანდება?

ჯელალ. (ჰაჯი ქერიმს). აღა ბაზარში წავიდა. (ჰაჯი ქერიმი
გავა, მასწავლებელი გაყირვებული თვალს გაადევნებს. ჯელა-
ლი განაცრძობს კითხვას). შენ შეჰქ-მენ სახე ყოვ-ლი-სა



ტა-ნი-სა. შენ და-მიუარე ძლე-ვა მეც დათურ-გუნ-ვა
მეც და-თურ-გუნ-ვა მე სა-თა-ნიისა...

მასწავლებელი. (ხმა მალლა). სწორედ წაიყითხე, ლექსი
სწორედ წაკითხვა უნდა: დათრგუნვად მე სატანისა,
ჯელალ. დათრგუნვად მე სატანისა (ამ დროს გარედან მოი-
სმის ისკენდერის ხმა).

ისკენდერ. მარს! მარს! (ამ ძაბილით შემოდის ოთახში. შემ-
დევ მიბრუნდება, კარებთან გაჩერებულ ძალლს სტაცებს ყუ-
რებში ხელს და სცილიობს შემოათრიოს, მაგრამ ძალლი არ
შემოდის). მარს! შემოდი სახლში!

ჯელალ. დაგვაცადე, ძმაო, ხომ ხედავ, გაქვეთილს ვწვა-
ლობ. ძალლს ნუ შემოიყვან, დაგვიშლის...

ისკენდერ. (ძალლს თავს მიაწებებს. ეტობა, კარგ გუნდაზეა.
ქუდს სწოლზე დააგდებს და თამბაქოს წევას შეუდგება.)

მასწავლებელი. (ისკენდერს) კეთილი იყოს თქვენი მობრ-
ძანება, ბატონი ისკენდერ! კარგი გინებებიათ, რომ
მობრძანებულხართ... გოხოვთ, მირზა-ჯელალ დაარი-
გოთ: გულდასმით ისწავლოს...

ისკენდერ. (საწოლზე ჩამოჯდება). ბატონი ბრძანდებით, ბა-
ტონი ბრძანდებით, დავარიგებ! მაგრამ ერთი მიბრ-
ძანეთ, გამიგონებს-კი? აგერ ძალლთანაც ვერა გა-
ვაწყე-რა, რამდენი ვქენი და შინ ვერ შემოვიყვანე.
ჰა-ჰა-ჰა! (იცინის).

მასწავლებელი. რად ბრძანებით მაგას: მირზა-ჯელალ
ჰქვიანი ბაშვია, ის ყოველთვის გავიგონებთ. ამდენ
ჯაფას ვეწევით იმისთვის მეც, მამაც. ისე უნდა
მოიქცეს, რომ ამდენმა ამავემა უსარგებლოდ არ
ჩაიაროს. განა თითონ ვერ ხედავს, რომ უსწავლე-
ლი კაცი გროშად არა ლირს. ვისაც სწავლა არა
აქვს, იმას არც პატივისცემა აქვს...

ისკენდერ. ჰა-ჰა-ჰა! ხედავს, როგორ ვერ ხედავს. განა მე



ვერ მშეღავს? ჰა-ჰა-ჰა! კაცი ის არის, ჩომელსაც
არც სწავლა აქვს, არც ჰატივისცემა... ჰა-ჰა-ჰა! ჩემ-
სავით... ჰა-ჰა-ჰა!

მასწავლებელი. (ჯელალს). არა, არა, ბატონი ისკენდერი
ხუმრობს, რა თქმა უნდა ხუმრობს!

ჯელალი. (მასწავლებელს). ბატონო მირზა, ლმერთმანი ჩემი
ძმა კიდევ ნასვამია!

ისკენდერი. (წამობტება და ჯელალთან მიერა). მე? მე ვარ ნა-
სვამი? (ჩასუნთქავს პირზი). ჰო-ჰო-ჰო! აბა სადა ვარ
ნასვამი?

ჯელალი. (დაილრიჯება და პირს მიიბრუნებს). ლმერთმანი,
ლვინო დაულევია.

ისკენდერ. სტყუი, სტყუი! ლვინო კი არა, არაყი. დავ-
ლიე! ხომ ხედავ, სცრულობდი! ჰა-ჰა-ჰა!

ჰაჯი ბექშ-ალი. (საჩქაროთ ქშენით შემოდის. ხმა მალლა). ბი-
ძია ჰაჯი ჰასანი სახლშია?

ჯელალ. (ჰაჯი ბექშ-ალის). არ არის სახლში (ჰაჯი ბექშ-
ალი გავა, მას ძალლი ყეფას დაუწყებს).

ისკენდერი. (მიერდება კარებს და ძალლს უსისინებს). სსი, ჰა,
სსი, ჰა... მარს, მარს, სსი... (იცინის).

ჯელალი. როცა მამი მოვა, ვეტყვი, ისკენდერი ხალხს
ძალლს უსისინებდა-მეთქი. ლმერთმანი ვეტყვი...

ისკენდერი. (დააცემერდება ჯელალს და შემდეგ). მეც ვეტყვი,
რომ ჯელალმა გაკვეთილები არ იცოდა-მეთქი.
(იცინის. შეჩერდება. მიერა ახლო და კვლავ დააკვირდება).
არა, არ ვეტყვი... ხომ იცი, როგორ მიყვარხარ?
(ხელს უსვამს და ეალერსება) მაგრამ კარგი არ არის,
რომ არ მიგონებ (წიგნს აიღებს). აი, ეხლა ეს წიგნი
გიდევს წინ და კითხულობ. ამ წიგნში შენი ბატონის
მიერ ერთი მნეთია მიცემული. და შენ უგნურსაც
დაგიდგია წინ და კითხულობ. განა, არა
სუკობდა, ეს მანეთი კარაპეტასთან წაგელო, ორი

ბოთლი არაყი გამოგერთმია და ჩემთვის, შენი ძმის-
თვის მოგეტანა. მეც ჩავიდებდი ჯიბეში, შემდეგ
ერთს ამოვილებდი და დილიდან-საღამომდე დავ-
ლევდი შენს სადლეგრძელოდ, მეორეს-კი სილამო-
დან დილამდე—აი ამ ბატონ მირზას სადლეგრძე-
ლოდ. თქვენ დლეგრძელი იქნებოდით და სწავლას
განაგრძობდით, მე კიდევ არაყს დავლევდი და
კარგ გუნდებაზე დავდგებოდი (მასწავლებელს). მართალ
არ ვამბობ, ბატონო მირზა?

მასწავლებელი. მაპატიეთ, ბატონო ისკუნდერ, ჩემი
მხრით კადნიერებაა, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ
ასეთი სიტყვები ბაეშვისთვის შეუფერებელია. იმის
ნაცვლად, რომ უმცროს ძმას დარიგება მისცეთ:
მთელი შენი არსებით დაადექი სწავლა-მეცნიერე-
ბასო, თქვენ შეუწყნარებელ და შეუფერებელ სიტ-
ყებს ეუბნებით...

ისკუნდერ. ჰა-ჰა-ჰა, სწავლა-მეცნიერებას დაადექიო...
სწავლა-მეცნიერებასო...

ჯელალი. (ჯელალი ცდილობს ვამოართვას წიგნი). ნელა, ნელა,
ყური დამიგდე აბა რას ვამმობ.

შავი ქააზიმი. (ქშენით შემოდგის.) ბიძია შავი ჰავი ჰასანი სახლში
ბრძანდება?

ისკუნდერ. სახლშია, სახლში!

ჯელალი. ჩემი ძმა სტყუის, ბატონი მამაჩემი ბაზარში
წავიდა.

მასწავლებელი. (ჰავი ქააზიმის). რას გვეტყვით, რა ამბავია?
(ქააზიმი ჰასუხს არ გასცემს და გავა).

ისკუნდერ. (წიგნით ხელში დაედევნება). სად მიდიხარ, შე და-
ლოცვილო! ჰავი ჰასანი სახლშია (ძალლს ეძაბის). მარს
მარს! სსი, სსი, ჰაჰა, სსი! (უქავებს იატაჭუ სცემს).

მასწავლებელი. აბა, მშეიღობით! (წამოდგება და გაფეხმილება)
ისკენდერ (სიცილით გაედევნება). მირზა, არ წახვიდე, არ წა-
ხვიდე. მე ნუ მოგიკედე, არ წახვიდე! მობრძანდი,
ჯელალს ასწავლე, რომ მეცნიერი გამოვიდეს...
ჯელალ. (ისკენდერს მიუახლოვდება). ძმაო, მომეცი ჩემი წი-
გნი!

ისკენდერ. (დაუყვებირებს). გამეცალე აქედან! (ჯელალი შეზი-
ნებული გარედ გავარდება. ისკენდერი თვალს გაადევნებს. შემ-
დევ მობრუნდება და საწოლზე ჩამოჯდება. ერთი ჯიბიდუან
არყით სავსე ბოთლს ამოიღებს, მეორედან გიტას და არყის
სმას დაიწყებს. მერე წიგნს გადაშლის და დააცემერდება).
გიცნობ, გიცნობ, მეც წამიკითხიხარ. (კითხვას დაი-
წყებს) „მეუეზე რჩევა-დარიგებამ გასკრა ტკაცს სი-
ცოცხლე დაუბრუნაო“. ჩემი მასწავლებელიც რჩე-
ვა-დარიგებას მაძლევდა: შეილო, იმეცადინე, გაკ-
ვეთილები კარგად შეისწავლეო. იმ შეჩვენებული-
სავან არც ერთხელ არ მსმენია: შეილო, კარგი
ადამიანი შეიქენიო. სულ-ერთსა რა იმავეს მეუბ-
ნებოდენ: სწავლას შეუდეექი ტნასწავლი გამოდიო,
ვერავის შევხვდი ისეთს, რომ შთაეგონებინა ჩემთვის
რა არის სწავლა? აი რა არის სწავლა: აილოს ვინ-
მემ ეს ბოთლი, პირზე მიიდოს ტსულ ერთიან გა-
მოსცალოს (მიუყვდებს და სემს). ფრრრ... ჰაჰაჰა...
— (აიმრისება). აი ეს არის სწავლა-მეცნიერება...

ჯელალ. (კარებიდან თავს შემოჭოუს). ღმერთმანი, როგორც
კი გამოვა მამა, ვეტყვი...

ისკენდერ. (ბოთლს ჯიბეში ჩაიდებს). ჯელალ, ჯელალ, მოდი
აქ, გამიგონე, რას გეტუვი!

ჯელალ. არ მოვალ, მთერალი ხარ..

ისკენდერ. იცი, რას ამბობდა სოურატი?

ჯელალ. სოურატი ვინ არის?

ისკენდერ. სოკრატი ერთი კაცი იყო, ძველი დოოის კაცი. სოკრატი იტუოდა ხოლმე: „სანამ სწავლას შევიძენდი, მეგონა, ამ ქვეყნად რაიმე შეც მესმოდა. მაგრამ როცა სწავლა შევიძინე, ცხადი და ნათელი შეიქნა ჩემთვის, რომ არა მცოდნია რაო... ჰა-ჰა-ჰა... მეც ასე ვარ. არყის სმაც ვერ შემისწავლია... ჯელალ, ჯელალ! შენ ეხლა გარბიხარ ჩემგან და მეუბნები, მთერალი ხარო. მაგრამ ვფიცავ ღმერთს, როცა შენც სწავლას დაამთავრებ, არყით სავსე ბოთლებს შორის მოიკალეთებ! (იცინის) ჰა-ჰა-ჰა!

ნაზლი. (კარებში გამოჩენდება). ძმაო ჩემო, თუ ღმერთი გწამს, ცოტა მაინც დალი ვე საწამლავი!

ისკენდერ. ბატონი ბრძანდები!

(თავრს-თავზე ანიშნებს). აი ეს არ მოგიკვდეს, ალარ ვიზამ!

ნაზლი. ღმერთმანი სტუი!

ისკენდერ. გეფიცები, არა ვსტუი. სანამ აქ იქნები, ერთ წევთსაც არ დავლევ. მაგრამ თუ მომშორდები, აუცილებლად უნდა დავლიო.

ნაზლი. (მივა და ხელს მოაკლებს). თუ აგრეა, არსადაც ალარ წვალ.

ისკენდერ. (ჩაეხუტება). ჩემო მშვენიერო დაიავ ნაზლი! დილიდან სალამომდე ზიხარ სახლში და შენი მამიდებისა და დეიდებისაგან საქორწინო გაკვეთილებს სწავლობ... მე არც-კი მეკარები, რომ ჩემ მიერ ნანახი. წაკითხული და გაგონილი მსოფლიოს ამბები მოგიკვე. აბა ერთი გარეთ გაიხედე, ახლად ამოსული მზე როგორ კაშკაშებს! მერე, თუ მზეს ვერ დაინახავ, რად გინდა მისი სინათლე! მთა-ბარი, მინდორ-ველი, მთელი არე-მარე ნაირ-ნაირად აყვავებულა, წარმტაცი სურნელოვანი კოკრებით შემოსი-

ლა, შენ-კი ვერ ხედავ ტ ვერ გრძნობ ამ შევნიე-
რებას. შენი თმა-ქაჩალა ძმები დასეირნობენ ბუნე-
ბის ამ წიაღში, ტკბებიან მისი სიმშვენიერით, შენ-
კი ზიხარ სახლში, ლეპავ კივს ტ ტილიან-წილიან
შენ დებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული მღერი:
„ჰაკოშკაჲა, ჰაკოშკა... სატრფო ჩემი ჰაკოშკა... გრძე-
ლი კაბით ჰაკოშკა“... (ამ დროს ისკუნდური საწოლიდან
გადმოვარდება. ჯელალსა და ნაზლს გაეცინებათ). ჩემო დაიავ
ნაზლი! მოდი, მომკიდე ხელი ტ წავიდეთ აქედან,
თავი დავალწიოთ ამ ქვეყანას... რას გაჩერებულ-
ხარ!

კვლავ ეს ცხოვრება კვლავ ეს დაბურვა და კვლავ ეს რიდი
კმარა ჩამორჩენა
მადლობა უფალს ლალივით სახეს არა გაქვს ნაკლი
გიშრისა კავთა წარბოთა წამწამთა არა გაქვს ნაკლი
ოდნავაც იყოს ბროლივით ყელსა არა გაქვს ნაკლი
კვლავ ეს ცხოვრება კვლავ ეს დაბურვა და კვლავ ეს რიდი
კმარა ჩამორჩენა.

ჰაჯი ჰასან. (აღტაცებული შემოდის, ნაზლი და ჯელალ გავლენ).
ისკუნდერ. მამა, რა ამბავია?

ჰაჯი ჰასან. (ცოტა შეუიქრდება, შემდევ თავს ასწევს). ამბობენ,
ქერბელაი ფეთხულაჲ გაცოცხლებულაო...

ისკუნდერ. (გაოცებული. მორიდებით). როგორ?

ჰაჯი ჰასან. ბიძია ჰაჯი როსტომის შვილი ქერბელაი ფეთ-
ხულლაჲი გაცოცხლებულა...

ისკუნდერ. ის, რომელიც ხოროსანში გარდაიცვალა?

ჰაჯი ჰასან. დიახ, დიახ... სწორედ ის ქერბელაი ფეთ-
ხულლაჲი.



ისკუნდერ. როგორ, გაცოცხლებულა?

ჰაჯი ჭავან. გაცოცხლებულა და ისე... როგორ გაცოცხლდებოდა?

ისკუნდერ. სულ გაცოცხლებულა? სამარიდან დღის სინათლეზე ამოსულა?

ჰაჯი ჭავან. (მოუთმენლად). ჰო, გაცოცხლებულა და ამოსულა...

ისკუნდერ. (პირს მიიბრუნებს; ცდილობს სიცილი შეიკავოს, მაგრამ ვერ იკავებს და ერთბაშად წასკდება). ჰა-ჰა-ჰა! (გარედ გავარდება).

ჰაჯი ჭავან. (ჰაჯი ჭავანი თეალს გააყოლებს). შენ-კი შეგაჩვენოს ღმერთმა!... ესეც შენი ნასწავლი კაცი! თქმა არ უნდა, ნასვამი იქნება. ნასვამიც რომ არ იყოს, განა ასეთ რამეს დაიჯერებს? არაფერი არა სწამს, არც ღმერთი და არც წინასწარმეტყველი. სწავლა-განათლებაზე მისი წონა ფული დავხარჯე. წავიდა და არ ვიცი, რომელ ჯოჯოხეთში მიიღო სწავლა, შეხეთ ეხლა რა დღეშია ჩავარდნილი! მერე, გამოვა ზოგიერთი არამზადა და მოჰყება: ჰაჯიებო, თქვენ შვილებს რად არ ასწავლითო. გვლანძლავენ მუსლიმანებს. ესეც შენი სწავლა! მობრძანდენ და ნახონ ეს ნასწავლები! ღმერთმა შემაჩვენოს, თუ კიდევ როდისმე შორეულ ქვეყანაში, ურჯულოთა შორის ბავშვი გავეგზავნო სასწავლებლად. დიალ, ვიცოდი, აი ამ (თავზე ხელს მიიდებს) ტყვიით გასაგმირავი თავით ვიცოდი, რომ ბოლო ეს იქნებოდა. მაგრამ ვფიცავ ღმერთს და მის მადლს, რომ ეს კაცები არ გვანებებენ, არ გვანებენ—ჩვენი საქმე თითონ ჩვენვე მოვაგვაროთ, ჩავაციუდებიან ციებ-ცხელებასავით: ჰაჯი, შეიბრა-

ლე შენი შვილი; მაღლობა ლმერთს, შეძლება გაქვს; გაუშვი წავიდეს, ისწავლოს, ნასწავლი ჩამოვიდეს, კარგ თანამდებობას მიიღებს: ინტინერი, გამომძიებელი და რა ვიცი კიდევ რა ზახრუმანი გამოვაო”. აი, ჩამოვიდა კიდევც. ნახონ ეხლა, რაც ბრძანდება. დღისით მთვრალი, ღამით მთვრალი. ლმერთმა შეაჩენოს, ძირიან-ფესვიანათ ამოაგდოს მისი ოჯახი, ვინც ამისი მიზეზი იყო!

ჰაჯი ბებე-ალი. (ქშენით შემოდის). ჰაჯი, ქერბელაი ფეთხულაპ გაცოცხლდა!

ჰაჯი ჰასან. (წამოდგება). დიალ, დიალ, გაცოცხლდა. საკუთარი ხელით წერილიც მოუწერია. გაოცებული ვარ, ჰაჯი! გთხოვთ დაბრძანდეთ!

ჰაჯი ბებე-ალი. ჩემო ჰაჯი, დაილოცა ლვთის სამართალი! ვინ მისწვდება მის განგებას! მაგრამ მიცვალებული ხომ თავის თავად არ გაცოცხლდებოდა. გამცოცხლებელი ვინმე იქნებოდა...

ჰაჯი ქერიმ. (ცხეც დალლილი, ქშენით, შემოდის). ჰაჯი, ხმა გავარდა, ქერბელაი ფეთხულლაპი გაცოცხლდაო. წუ თუ მართალია?

ჰაჯი ჰასან. დიალ, მართალია, მართალი... დაბრძანდით, ფეხზე წუ დგეხართ! (სამიერნი დასხდებიან).

ჰაჯი ქააზიმი. (სხვებივით სწრაფად და ქშენით შემოდის). ჰაჯი ჰასან-ალა, ამბობენ ჰაჯი როსთემის შვილი გაცოცხლებულაო! (ჰაჯი ჰასან და სხვები წამოდგებიან).

ჰაჯი ჰასან. დიალ, დიალ, ნამდვილია, მართალია!. (შემოდის მიცვალებულის ძმა მეშემედი ოროვე და მასთან ერთად რამდენიმე სხვა კაცი).

მეშემედი ოროვე. (ხელში წერილი უკირავს. ორივე ხელს აღაძყრობს; და იტანის). „დაილოცა შენი სამართალი, უფა-

ლო! მე შენს ქება-დიდებას ვერ გამოვთქვამ, მუნ-
ჯი ვარ, ათასი მადლობა შენს წყალობას, უფრალო!
რა მდენიშე კაცი. (წინ გამოდიან და წერილს აკეირდებიან). ეს
არის ქერბელი ფეთხულლაპის წერილი? ერთი წავი-
კითხოთ, გავიგოთ, რას იწერება!..

ჰაჯი ჰასან. (მეშედე თროვს). კარგი იქნება წერილი თითონ
შენ წაიკითხო, გასაოცარია, გასაოცარი...

მეშედი თროვ. (კვლავ ხელებს ალაპურობს. ტირილი მოერე-
ვა. ცრემლებს ახალობის კალთით მოიწენდს და შემდე წიგ-
უბს წერილის კითხვას). „ჩემო საყვარელო ძმაო მეშედი
თროვ! ამ ჩემი ბარათის მიღებისთანავე ახარე ჩე-
მი ამბავი ჰაჯი ჰასან ბიძიას და მიულოცე ჩემი
მკედრეთით აღდგომა. (ჰაჯი ჰასანი ატირდება). შემ-
დეგ ამისა, თუ დედა ცოცხალია, გადაეხვივ და უთ-
ხარი: საყვარელო დედიკო! ეხლა ნულარ იწუხებ,
ნულარ იდარდებ: შენი შვილი ქერბელი ფეთხულლაპი
გაცოცხლდათქო. შემდეგ ჩემი პაწია მემედ-ალი
იყვანე, გულზე მიიკარ და უთხარ: შენ ეხლა ობო-
ლი ალარა ხარ, მამა შენი გაცოცხლდა, მალე ხო-
როსანიდან ჩამოვა და წითელ ფლოსტლებს მოვი-
ტანს-თქო. თუ სირცხვილად არ ჩამომერთმევა, ჩე-
მი მემედ-ალის დედასაც გადაეცი... ასე, ჩემო ძვირ-
ფასო ძმაო მეშედი თროვ... შეიძლება ჩემი მკედრე-
თით აღდგომის ამბავშა ზოგიერთი ურწმუნო და
გულშავი ადამიანი აალაპარაკოს, მაგრამ ათასჯელ
წყეული და შეჩენებული იყოს ის, ვინც ლვთის
შემოქმედებაში ეჭვს შეიტანს!“

ზველანი. წყეული და შეჩენებული იყოს!

მეშედი თროვ. (განაგრძობს კითხვას). „ძმაო მეშედი
თროვ! ჩემს გარდა სამარილან მკედრეთით ალსლეა

ას თოთხმეტი მიცვალებული. სააქაოს გამოპრუნებულებს ჯერჯერობით რამდენიმე დღეს აქ დარჩენა მოვციხდება, რომ წმინდა სალოცავები მოვიაროთ. შემდეგ-კი, ლვის ძალით, სამშობლოში დავბრუნდები. ეხლა მოკლედ შემდეგი შემიძლია გადმოგცე: წმინდა სალოცავს მეშვედს შეიხ ნესრულლაპის სახელით მოევლინა დიდი მოძღვარი—უფალმა მოწყალებითა თვისითა მარადის უკედავცყოს იგი! დიდებულმა მოძღვარმა ხოროსანში მოპრძანება ინება ისპაპანიდან, სადაც დიდი ხნის განშავლობაში სასულიერო მეცნიერების საიდუმლო დარგს სწავლობდა. აქ ხოროსანში, რამდენიმე თვის განმავლობაში უძრახათ ყოფნის და ხორციელათ სრული დათმობის შემდეგ, როდესაც მეცნიერების ამ დარგის მცნებათა საიდუმლოებას მიაღწია, განზრახა, ყოვლიდ შემომქმედი ლვის წყალობით, სულთა გამოძახების და მათი კვლავ მიცვალებულთა გვამებში მიქცევის სასწაულის მოხდენა. ეჭ, საყვარელო ჩემო ძმაო მეშვედი ოროჯ, მომხდარი ამბების ვითარებას დაწერილებით და სათითაოთ მოგიყვები მაშინ, როცა ლვის ნებით სამშობლოში ჩამოვალ. ეხლა-კი გაცნობებ შემდეგს: ჯემაზიელ აახერის¹⁾ მეთვრამეტე დღეს, როცა მთვარე ქვემო სამყაროს დაუახლოვდა, დიდებული მოძღვარი მოპრძანებული აქ, ლარიბთა სასაფლაოზე, მიცვალებულთა სანახავად. სულთა გამოძახების და მათი გვამებში მიქცევის პირობების აღსრულების შემდეგ, შესდგომია ლოცვების კითხვას და მერე მიუმართავს მიცვალებულთათვის: „თქვენ მოვმართავთ მიცვალე-

¹⁾ ჯემაზიელი აახერი, სახელია მეცნევეს თვისა.

ბულნო! აღსდექით ლვთის მონანო! — “ო. ამ სიტყვი-
ბის გოსმენის შემდეგ, გალალი ლვთის მოწყალე-
ბით, მიცვალებულთა შორის მოძრაობა იწყო. (კვ-
ლანი ტირიან). როცა ალვლსდეგ, რასა, ვხედავ: ჩემ თავ-
თან სდგას ვინმე კაცი, ლვთისნიერი, უბიშო, ლმო-
ბიერი, შავთვალა, მწვანე ფერის ნათლით მოსილი
სახით, მაღლიანი და დალოცვილი დიდი მოძლვა-
რი შეის ნესრულლაპი ისპაპანელი”...

ზველანი. (ერთხმად) დაილოცა, ყოვლად შემძლებელო
უფალო, შენი სახელი!

ჰაჯი ქერიმ. გამიღე ბარემ საყოველთაო წყალობა შენ-
მონათადმი, უფალო!

მეშვედი ოროჯ. (განაგრძობს კითხვას) „ჩემო საყვარელო
მორწმუნე ძმაო მეშვედი ოროჯ! მიზეზი ამ ბარა-
თის გამოგზავნისა არის ისიც, რომ მინდოდა მეც-
ნობებინა შენთვის შემდეგი: რეჯების¹⁾ თვის პირ-
ველ რიცხვებში ეს წმინდა მოძლვარი შეის ნესრულ-
ლაპი წმინდა მეშვედიდან თავრიზისა და ჯულფის
მიმართულებით აპირებს წასვლას წმინდა ქალაქ
ნეჯეფში. დიდ მოძლვარს განხრახვა აქვს რამდენი-
მე დღით ჩენს ქალაქშიც დარჩეს, იქაც ინახულოს
ლარიბთა სასაფლაო და შემდეგ გაუდგეს თავის გზას.
გადაცი ყოველივე ეს ჩემს თანამემამულეებს, გან-
საკუთრებით ჰაჯი ჰასან ბიძიას, რათა აღნიშნულ
თვის შეიდ რიცხვში მიეგებონ და შესაფერი ჰატივი
სცენ დიდ მოძლვარს. იქნებ ჩემი თანამოქალაქენიც
ლირსნი გახდენ მისი ლვთაებრივი მცნების მოსმე-
ნისა“. ბარათზე ხელი მოწერილი აქვს ქერბელი

¹⁾ რეჯები — მეშვეობების რამდენიმე დღე.

თეთბულლავ როსთემ-ოლლის. რიცხვი ჯემაზიელ აანუ
რის თვის 19. ქალაქი წმინდა მეშვეობი. (ორიგინალი არის მას მიხმარებული).
ლებს ააპყრობს და მოყვება ტირილს, მას მიჰბაძავენ სხვებიც).

ჰავა ბებშ-ალი. (გაოცებული). ასე რომ დიდებული მოძ-
ლვარი ჩვენს ქალაქშიაც მობრძანდება...

ჰავა შახან. დიალ, დიალ, ასე სჩანს ბარათიდან.

მეშვე დი ოროვა. დიალ, ჩვენ ქალაქშიაც მობრძანდება და
შემდეგ თავრიზისკენ გაემართება.

ჰავა ქერიმ. რა დროს მობრძანდებაო?

მეშვეობი ოროვა. ბარათში სწერია: რეჯების შეიღწიო.
ამ დღეს უკვე აქ იქნება.

ჰავა ბებშ ალი. მერე, დღეს რომელი რიცხვია? ხუთი
არ არის? ორი დღის შემდეგ დიდებული მოძლვა-
რი ჩვენს ქალაქში იქნება.

21 ჰავა შახან. თუ აგრეა რას გავჩერებულვართ! მო-
ძლვარს გზაში უნდა მივეგებოთ. ჰავა ქერიმ; ჰავა
ბებშ-ალი, მეშვეობი ოროვა! ყველას. ვინც აქა ხართ
გეხვეწებით, დატრიალდით, მოემზადეთ! (ხმა-მალლა).
ბიჭო, ჰაიდარ-ალი, სადა ხარ! (მასამსაზრებე ალი კა-
რებში გამოჩნდება).

აბა ბიჭო, ცხენს ქერი მიეცი, უნავირიც მოამზადე-
ოქეენც ჰავიებო, მეშვეობო, მოემზადენით! უნდა
მივეგებოთ! (ხალხი ამოძრავდება. აქეთ-იქით გაიწევს).

ხმები. წავიდეთ და მოვამზადოთ ცხენები.

ჰავა შახან. ბიჭო ჰაიდარ! აცნობე ჩემ სახლობას, რომ
ოთახები ხალიჩებით მოაგოს, სტუმარი უნდა მოვი-
დეს-თქო.

ჰავა ქერიმ. (ჰავა ჰასანს). ჰავა, დამრთე ნება, დიდებულ
მოძლვარს სამსახური მე გაეუწიო. ჩემი სტუმარი
იყოს. ვშიშობ, ვაი თუ თქვენ შეწუხდეთ.

ჰაჯი შასან. არა, არა. მაგას ნუ მეუბნები, თუ ლმერთი გწამს. მაგისთანა დიდი აღამიანისთვის შეწუხება— ბედნიერებაა.

ჰაჯი ბებზ-ალი. არ შეიძლება, ჰაჯი ჰასან-ალა, არა, მოძღვარი ჩემი სტუმარი უნდა იყოს.

ჰაჯი ქერიმ. მე ვერავის დაუთმობ: მოძლვარს სამსახური მე უნდა გაუწიო.

ჰაჯი შასან. შენც არ მომიკვდე, ვერ დაგანებებ, იღიტომ რომ მოძლვარმა ჩვენ დიდი ამავი დაგვდო.

ჰაჯი ქერიმ. დაყოვნების დრო აღარ არის. წავიდეთ და მოვემზადოთ. (ყველანი წამოდგებიან. ერთმანეთს: „მიბრძანდი“, „შენ მიბრძანდი“, „არა, შენ მიბრძანდი“, ასეთის პატივით გაელენ. ჰაჯი ჰასანი დარჩება. ოთახის მფორდე კარიდან შიშითა და კრძალვით, ჯერ თავს შემოაყოფს და მერე შემოვა- ქერბელაი ფატიმე—ხანუმი).

ქერბელაი ფატიმე-ხანუმი. ჩემო ჰაჯი, ეს რა ამბავია. ამბობენ, ქერბელაი ფეთხულლაპი გაცოცხლდა და მოდისო.

ჰაჯი შასან. ქერბელაი ფატიმე! დაყოვნების დრო აღარ არის. სახლ-კარი დაალავე და მოაწყე. ქეეყანა შეინ-ძრა: ხოროსანში მრავალნი გაცოცხლებულან, ქერ- ბელაი ფეთხულლაპიც გაცოცხლებულა. დღეს არა, ხეალ ჩამოვა, მისი გამაცოცხლებელი მოძლვარიც მომრძანდება. (წამოდგება და მიდის).

ფატიმე ხანუმი. ჩემო ჰაჯი! გიცხონოს ლმერთმა მშობლე- ბი! ერთი ეს მითხარი—მოძლვარი ჩვენი ქალაქის მიცვალებულთაც გააცოცხლებს?

ჰაჯი შასან. (კარებთან მისული). ქალო, თუ ლმერთი ვწამს, თავი გამანებე! ნუ გაჩერებულხარ, გასწი! არ ვიცი, გააცოცხლებს თუ არა. ეს მოძლვრის წყალობაზეა დამოკიდებული. მეც დავთრები დამებნა, არაფერი

არ ვიცი. (მათ მაღლა). ქალო, შენ გეუბნები გასწი-
მეთქი, ჩქარა! შეუდეტი სამზადისს, მე-კი მივდივარ.
(გავა).

ფატიმე-ხანუმი. (ტელებს ააპყრობს და სტირის). ცისა და ზლეა-
ხმელეთის არარაობისაგან შემქნელო უფალო! წელი-
წად ნახევარია ცრემლებს მაფრქვევინებ. ვარდის
მსგავსი გოგონა ხელიდან გამომაცალე, გულ-ლვიძ-
ლი დამიდაგე... ყოვლად მოწყალე უფალო, ჩემ სა-
რასა გთხოვ! ქერბელია ფეთხულლაპის გამცოცხლე-
ბელო უფალო, გამოილე ჩემზედაც წყალობა, გამი-
ცოცხლე ქალიშვილი სარა! უფალო, ყოვლის შემძ-
ლებელო, უფალო! (ტირილით ძირს დაეშვება.)

ისკენდერ. (წყნარად შემოვა, დედასთან გაჩერდება, თავს დაბრის
და თავისთვის ნალვლიანად იტყვის). საბრალო დედა!

(ფარდა.)

მოძღვანება მიორე

სცენა წარმოადგენს პაჯი პასანის საფარბაზო ოთახს, რომელსაც ალაგებერ ქერბელია ფატიმე-ხანუმი და მოსამსახურე ქალი ზეინები. ნა-ზლი გახარებული დადის, ცელქობს და მღერის.

ნაზლი. (დელას). დედიკო, შენ შემოგევლე, შენ დაგენაც-ლე, ამბობენ, ის სტუმარი, ჩევნთან რომ მოდის, მიცვალებულებს აცოცხლებსო. დედიკო, მითხარი, მართალია? (გადეხვევა).

ქერბელია ფატიმე. აბა რა გითხრა, ჩემო კარგო, მეც შენ-სავით არაფერი ვიცი... ეხლა-კი ცოტა დამაცადე. საცაა სტუმრებიც მოვლენ. უნდა მივალაგ-მოვალა-გო. ქალო ზეინებ! აბა აუჩქარე, მუთაქები ჩამოი-ტანე და აი აქ დააწყე (ანიშნებს). ეს ხალიჩაც ცოტა გვერდით ჩასწიე. ჰა, გაინძერი!

ნაზლი. ღმერთმანი არ ვიცი, დედიკო, ვიცინო თუ ვი-ტირო... ერთი რამ მაწუხებს... ჩენ სტუმარს ფე-ხებზე უნდა ვემთხვიო, უნდა ვთხოვო (ტირილით), ჩე-მი დაიკო სარაც გააცოცხლოს...

ქერბელია ფატიმე. ეჭ, აბა რა ვიცი, შეილო! (ძირს და-შევბა, პირისახესე თავსაუარის კეთხებს მიითარებს და ტი-რილს დაიწყებს).

ზეინებ. ქალბატონო, აბა ეგრე რად იწუხებ გულს. ღმერ-თი დიდია და ყოვლად მოწყალე. (სამივენი ტირიან) ქალბატონო, რა კაცია, მიცვალებულებს რომ აცოც-ლებს? (ზექერდება). თუ ღმერთი ვწამს, ქალბატონო,

მიბრძანე, ის კაცი ლარიბებსაც აცოცხლებსი ვფიცავ უფალს, რომ ის ჩემი პატარა ბიჭი სულ თვალწინ მიდგას. ასე მგონია, ასე მგონია, თითქოს ეხლაც სიკვდილს ებრძვისო. (ტორის და თავსახურავით თვალებს იწყენდავს).

ქერბელია ფატიმე. მე თითონაც არ ვიცი... შეიძლება ჩვენც შეგვიბრალოს... დაილოცა ლვთის სამართალი!.. აბა, ნუ გაჩერებულხარ, ზეინებ; წადი ალის უოხარ, წყალი მოიტანოს და შენც სამხარეულოს მიხედე! (ზღინებ გადის).

ნაზლი. ეჭ, ნეტა ერთი ჩემი დაიკო სარა კიდევ მაჩვენა! მერე, როგორ მიყვარდა... რა კარგი იქნება, შემოალოს აი ეს კარი და შემოვიდეს. როგორ მოვეხვევოდი... ლამის არის გავგიედე! ვფიცავ უფალს და წინასწარმეტყველს, რაც მაქვს და მაბადია, ლარიბებს შევწირავ. აი ამ ტანისამოსს, ოქროს, ყველაფერს. ეხლავე წავალ და მოვიტან. (მიდის.)

ქერბელია ფატიმე. ნუ შვილო, ნუ ჩქარობ. ჯერ მოითმინე. აქ, დარბაზში, ნივთებს რა უნდა. საცაა სტუმრებიც მოვლენ. ეხლა წადი, ჩემო კარგო, და ზეინებს უოხარი, მოვიდეს. (ნაზლი გადის).

ისკენდერ. (სიმღერით შემოდის). ოპოო... დედა, როგორა ხარ ქეიფში?

ქერბელია ფატიმე. სეი, სეი, შხამად გექცეს ქეიფი! შენმა დარდმა და ნალველმა ლამის არის გამათაოს. სხვისმა შვილებმა გაათავეს სწავლა და ჩამოვიდენ. ყველა კაცად იქცა, ყველამ შესაფერი სამსახური მიიღო. შენ-კი სულ სვამ. დლისით მთვრალი ხარ და ლამით. ღმერთმანი, ხალხში გამოსაყოფი თავი ალარა გაქვს. სეამ ჩავ ზახრუბალას და რაც მოგვი-

თავში და მოგადგება ენაზე—ლაპარაკობ. ოღარც
ლმერთი გწამს, ოღარც დიდისა და პატარის გერ-
ცხვინება. აბა ის რა სიტყვა იყო, გუშინ ნაზლის-
თვის რომ გითქვამს: მოდი, გამომდევი ხელი და
ბალში გავიარ-გამოვიაროთო... ის-ლა გვაკლია, რომ
ქალიშვილებმა ვაექებივით სასეირნოთ დაიწყონ სია-
რული! ნეტა საფლავი გამეოხაროს და შიგ ჩავე-
სვენო, ოლონდ თქვენ დაგახტიოთ თავი!..

ისკენდერ. (იცინის). ჰა-ჰა-ჰა! ეხლა გინდაც რომ მოვკედე
ჩვენგან მაინც ველარ დაალწევ თავს. აი ის მოძლვა-
რი, შეიხ ნესრულაპია თუ ვილაცა, დღეს რომ
სტუმრად მოდის ჩვენსა, კვლავ გაგაცოცხლებს. ჰა-
ჰა-ჰა! ამიერიდან სიკვდილიც ველარ გიშველის!
(ზეინებ და ნაზლი შემოვლენ. ისკენდერი მუთაჭაზე დაჯდება).
ზეინებ. ნუ ზიხარ მანდ და მუთაქას ნუ აფუჭებ! ესენი
შენთვის არ დაგვილაგებია! ვერ გაიგე, რომ სტუ-
მარი უნდა მოვიდეს!

ისკენდერ. ჰეი, ზეინებ, ლმერთმანი, მესმის შენი ეშმა-
კობა. ამას იმიტომ სჩადიხარ, გინდა სტუმარი მო-
ძლვარის გული მოაგო, რომ ქმარი ქერბელია ნევ-
რუზი გაგიცოცხლოს. ჰა-ჰა-ჰა! მესმის, მესმის კვე-
ლაფერი!...

ქერბელაი ფატიმე. აი შე საბრალო, შე უგუნურო! სხვა რა
გწამს, რომ ეგ იწამო! შესაბრალისი ვარ შენ ხელ-
ში. უკეთესი იქნება, მოგვშორდე აქედან... შენ, ქა-
ლო ზეინებ, მოდი ამ ხალიჩის ირიბი შეასწორე!

აზლი. ძმაო, თუ ლმერთი გწამს, დღეს მაინც თავდაჭე-
რილი იყავი, სტუმრებთან არ შეგვარცხვინო...
(ამ დროს მირ ბააკერ-ალა შემოვა, ფეხსაცმელს გაიხდის და
„სელუამუნ-ალეიქშმით“ მიესალმება დარბაზში მყოფთ. ნაზლი
ზირისახეს აიფარებს და გაიქცევა).

ქერბელაი ფატიშე. ალეიქეს-სელამ! მობრძანდით, შეტონონ, დაბრძანდით! (მირ ბააკერ-ალა დაჯდება).

ისკენდერ. (ნაზლის დაედევნება). შენ გოგო ნაზლი! სამახა-რობლო უნდა მომცე, შენი დანიშნული მოვიდა!

ქერბელაი ფატინე. ხმა გაიკმინდე, ნუ როშავ, შე ბრიყვო! (მირ ბააკერ-ალა თავს ჩაღუნავს).

ისკენდერ. (მირ ბააკერ-ალასთან მივა). შე ნუ მოგიკვდე, ხელი მომეცი! ღმერთმანი, გემო გქონია. სწორედ ცხრა წლისაა: ბატქნის ხორცივით გემრიელი საქნატუნებელია. რძეა, რძე!.. მართლაც რომ გემო გქონია, მომეცი ხელი რალა!

მირ ბააკერ ალა. გრუხენოდეს! სხვა არა იყოს რა, დედი შენის რიდი და ხათრი მაინც უნდა გქონდეს, შე უგუნურო!

ქერბელაი ფატიშე. მაგან რო სირუხეილი იცოდეს, განა ასეთ რამეს იტყოდა? (მირ ბააკერ-ალა წამოდგება).

ისკენდერ. (იცინის). ჰა-ჰა-ჰა! თუ კაცი ხარ, არ გეწყინოს! დაბრძანდი, ამ საათში წავალ და შენ დანიშნულს მოგიყვან! (მივა კარებთან და გასძახებს). ნაზლი, ნაზლი!

მირ ბააკერ-ალა. (ვაძრაზებული, მაღალი ხმით). ხმა გაკმინდე, შე ლოთო, შენა! (გავა).

ქერბელაი ფატიშე. ვაი ჩემო თავო! ეს ბიჭი სულ გაგიშებულა! (ხმა მაღლა) შენ, ბიჭო ალი, მოდი და ეს ოხერი გაათრიე აქედან!

ნაზლი (შემოვა). რაა, ძხაო, ეს? ღმერთმანი, თავს ვეღარ გამოვყოფთ. რეებს ამბობდი? სირუხეილი არ არის?

ისკენდერ. (თითებს ატკაცუნებს, მღერის და თამაშოს). სწორედ ცხრა წლისა მიყვარს მე ქალი, სახე ვარდისა, ტურ-ფა და ნაზი, აჯან, აჯან, ჰეი აჯან!.. (ქერბელაი ფატიშე ორივე ხელით ქოქოლას მიაყრის).

ნაზლი. (მშა მაღლა). ხმა გაქმინდე, ძმაო!

ისკენდერ. (შექრებდება, მერე მივა ნაზლისთან, ხელს მოჰყიდებს და სარკმელთან მიიყვანს). შეხედე ერთი, ვინ არის ის?

ნაზლი. მე რა ვიცი. შენ თითონ კარგად იცი, ვინც არის...

ქერბელია ფატიმე. (მივა და თავს დაადგება). გეყოფა, შვილო, იქმარე, ინამუსე. რა დღეში ვარ ჩავარდნილი! თავი მაინც შეიბრალე, შე უბედურო, შენა! არა გრუსვენია, რას სჩადი, რეებს ლაპარაკობ, ან რა სიტყვები აյადრე იმ კაცს. რაც უნდა იყოს, სეიდია, თანამოადგილე. განა რაც პირზე მოგადგება, ყველაფერი უნდა სთქვა? ცოდვაა ის ადამიანი, ყარიბია, ჩვენს გარდა ვინა ჰყავს აქ?

ისკენდერ. (ისევ თითებს შეატაცუნებს და ნაზლზე უჩვენებს). დიაღ, მას ამ ქალაქში დანიშნული ჰყავს!

ნაზლი. ვფიცავ ლმერის, რომ მე მარ ბააკერ-ალას არ მიეთხოვდები.

ისკენდერ. ჰა-ჰა-ჰა! (მივა ნაზლთან და ხელს მოჰყიდებს) ჩემო დაიავ! შენ ჯერ ბავშვი ხარ, გამოუცდელი. დადგება დრო და გიბრძანებენ გათხოვებას. ვთქვათ იურჩე და გაყოლა არ მოისურვე, უარზე დადეჭი. ამ დროს ზურგში მუჯლუგუნებს ივრძნობ: -გასწი, გაჰყე მაყარსაო-. მოიხედავ და დაინახავ, რომ ამ მუჯლუგუნებს გთავაზობს შენი მამა, ჰავი ჰასანი დიაღ, დიაღ! ვთქვათ კვლავ გაჯიუტდი. კვლავ იგრძნობ ზურგში მუჯლუგუნებს: -გასწი, გასწი ჩქარა, ნუ გაჩერებულხარო-. მიიხედავ და დაინახავ შენ მშობელ დედას, ქერბალა ფატიმე-ხანუმს. ოუ ვინიცობაა ამის შემდეგაც აყალ-მაყალი ასტეხე, დაგესევიან დეიდები, მამიდები, ბიძები, სეიდები, მოლები, ჰა-

ჯიები, ბაჯიები, დები, შეზობლები, სადგისებით და-
 გადგებიან და გიბრძანებენ: „სუ, ხმა არ ამოილოო,
 ბროკოლები მოვლენ და ძალით წაგიყვანენ... ასე
 და ამგვარად მიგიყვანენ ვიღაც კაცთან. სად მომ-
 ძებნი მაშინ მე!?” (თიონების ტკაცუნით მღერის),

მოატანს დრო მიმატოებ სწრაფად ვისმეს
 გადაყვები
 მელებთან ლხინში მოგობრობის გამტკიცებასა
 შეეცდები
 დაო ჩემო მეგობრობის გაჩალებას შეეცდები.

(შეჩერდება და ფიქრის შემდეგ დადას) დედა ჩემო, იქნებ
 ყველა ამას სიმთვრალით ვლაპარაკობ?! (დადა სდუმს)
ნაზლი. (ჩივა და ისკენდერს გადაეხვედს). მთერალიც რომ იყო,
 მაინც მართალს ამბობ!

ალი. (ქშენით შემოვარდება). ქალბატონო, ეხლავე გაბრძან-
 დით, სტუმრები მოდიან! (ქერბალა ფატიმე და ნაზლი
 სასწრაფოთ გავლენ).

პაჭი ჰასან. (შემოდის დამტკიციანებული და დარბაზს ათვალიერს.
 ზორიდან ისმის სამღებო გალობის ხმა, რომელიც თანდათან
 ახლოვდება და მატულობს). ყოველივე ლეთის რისხევა
 ჩვენ ბედერულ ქვეყანას უნდა დაატყდეს! დიდი მოძ-
 ლვარი გზაში ცოტა უქეითოთ შეიქნა. ლმერთო გვი-
 შველე და ხიფათი ავვაშორე! ისკენდერ, თავი კარ-
 გად დაიკირე, მტერთან და მოყვარესთან სირცხვი-
 ლი არ გვაჭამო!

ისკენდერ. მამა ჩემო, ეს სწორედ ის მოძლვარია, მიცვალე-
 ბულებს რომ აკოცხლებს?

პაჭი ჰასან. დიალ, მოძლვარი შეიხ ნესრულავ ბრძანდე-

ბა... ეხლა ლაპარაკისთვის არა მცალიან... (სუს
გასვლა). უნდა დავათვალიერო, სახლში ყველაფერი
მზად არის თუ არა...»

ისკენდერ. მამა ჩემთ, ერთი ჩემთვისაც სოხოვე სტუმარს,
რომ პირველად მე გამაცოცხლოს. ხომ ხედავ, მეც
მიცვალებული ვარ. (ჰაჯი ჰასანი ხმის ამოულებლ-დ მივა.
სტაცებს ხელს და ძალით გაიყენს გარეთ. სცენა ცარიელდე-
ბა. ხმაურობა ახლოვდება. ისმის ცხენის თქარა-თქური და
ხალხის გუგუნი. ჰაჯი ჰასანი და მამა, აზმედ შეიხ ნესრულლაპ-
შემოიყენენ და ქვეშავებზე დასვამენ. შემდეგ დიდის მოწიწებით
მოშორდებიან და კუთხეში გაჩერდებიან. შეიხ ნესრულლაპ შე-
მოჰყებიან გამტვერიანებული ჰაჯი ჰი და სხვები, რამდენიც
ოთახში დაეტევა და ხელდაკრებილი შორისახლო გაჩერდე-
ბი. ნ. მოძღვარი უწერობის გამო ყურადღებას არავის მიაქ-
ცეს და ძალიშებზე მიწვება. ისკენდერიც ზალხში გაფრევა და
უცერის. ჰაჯი ჰასანი თვალით ანიშნებს ისკენდერს, გადიო,
და ისიც გავა. მამა აზმედი ნელა, ფეხაკრეფით ჩივა მოძღვარ-
თან, მის წინ დაიწოქებს და დაბალის ხმით).

მამა ახმედ. როგორ ბრძანდებით, ჩენო მოძღვარო? (მო-
ღვარი ხმას არ იღებს, მხოლოდ თაქს აქნევს).

ჰაჯი ჰასან. (შიშითა და მორიდებით მიუაბლოვდება მამა აზმედს).
ბატონშა მოძღვარმა ნება დავგროოს ჩაი მოართვან. (მოძღვარი
თავის ქნევით ანიშნებს—არაო). იქნებ ბატონშა
მოძღვარმა საჭმელი მიირთვას—კარგი ვარიები და
ფლავია დამზადებული...

შეიხ ნესრულულაპ. (არავის შეხედავს და ნელის ხმით). ეამსა
ავადმყოფობისას, ოდეს ხორცი ან სული ადამიანისა
შეპყრობილ არს წყლულით, მას არა აქვნდის სურ-
ვილი ჭამადის ან სმადის. უკეთუ გული ადამიანისა
გაიმსჭვალების მისწრაფითა მიწიერ ცხოვრებისათა,
მას გულსა შინა ვერ დაემკვიდრების სახელი უფლი-
სა. სიტყბოება ჭამადისა არა-არს დამაამებელი

წყლულისა, მხოლოდ სიტკბოებაი იმა ქვეყნისა აქარებს მწუხარებასა ამა ქვეყნისასა. ვითარცა სიყვარული უფლისა მიმართ ანელებს ზრახვათა ამა ქვეყნისათა... (დაფიქრდება, შემდგრ მაღალის ხმით ჰაჯი ჰასანი). როგორ თუ საჭმელი? რის ვარია, რის ფლავი? მამაო ახმედ! ეს სად მომიუვანე? როგორი მუსლიმანები არიან ესენი? (უჩვენებს ოთახის მორთულობაზე) ეს რა არის? რა ვარია და ფლავი? მამაო ახმედ! განა ამათვის არ გადაგიცია, რომ ჩემი საკვები დღეში მხოლოდ და მხოლოდ ხურმის ერთი მარცვალია. (ჰაჯი ბი შიშით თრთია).

მამა ახმედ. როგორ არა, ნათქვამი მაქვს, ჩეენო მოძლვარო!

შეიძ. ნეხრულლამ. (ზალხს მიუბრუნდება). რა ვნებავსთ, რას დაეძებთ? მეტებიც რომ იყოთ, უნდა მოკვდეთ, ვიწად იქცეთ. ცხოვრებაი ამა ქვეყნისაი, რომელიც თქვენ მიერ დიდად ფასდებულ არს, ჩემთვის არა-რად ლირს, ვითა ფოთოლი ბალახისა, კალიას პირ-სა შინა მოქცეული. თქვენი სამყაროი წარმოადგენს სხვადასხვანაირ სიტკბოებას: საჭმელს, სასმელს, სამოსელს, შეულლებას, სახედარს, გამბედაობას და სხვას. ხოლო საჭმლის უტკბილესი არს თაფლი, რაიც ფუტკრის ნერწყვთაგან კეთდების. თქვენ მიერ შესმულ წყალში ათასობით სცურაობენ ცხოველები. სურნელოვანთა შორის საუკეთესოდ ჩაითვლების მუშკი, რაიც შესდგების ააპულს ჭიპი? სისხლთაგან. საუკეთესო სახედარი არს ცხენი, რომლის მხედარს ყოველთვის ხიფათი მოელის. სამოსლისთვის საუკეთესოდ ითვლების აბრეშუმელი, რაც ჭიის ნოყიერ მუცლიდან გამოდის. რაიც შეეხების შეულლების



დიდ სარგებლობას, აქ სახეში მყვანან კურიკები. (ცოტა ფიქტის შემდევ დაბალი ხმით.) ვითარებანი საქმისა ბუნებით შეულლებისანი მარტოოდენ სარგებლობითა დროებითა არ განიზომებიან. ისმინდთ, რასა იტყვიან, მორწმუნენო, ბაგენი ჩემნი, და ყურადილეთ სიტყვაი იგი, ვინაიდან მხოლოდ გულმოდგინებაი და სასოებაი იხსნის გულსა და სულსა თქვენსა მშეოუნახავთა უუუუნა თვალთაგან, ნატყორცნ მყვლელ ისართაგან. (ხმა მაღლა.) ვინც შეულლდა, მან აღასრულა სიტყვაი იგი ლვოისა და დაიცვა თავი თვისი ცოცხებათაგან ეშმაკთაო, ბრძანებს ჩვენი დიდი წინასწარმეტყველი — იყოსმეტა თქვენშედა წყალობა მისი! — და განამტკიცა პირვენდელი მცნება უფლისა, დიალ, მორწმუნენო, შეულლებულმან დაალწია თავი თვისი ვნებათა ლელვას და ბოროტებას. (ცოტას შეჩერდება) მამაო ახმედ, ჯამაათ შორის ჩვენს დაიკოებს რომ ვერ ვხედავ, ეს რას ნიშნავს? შეტყობინე იმ საბრალოებს, მოვიდენ და ფარდის უკან მოიყარონ თავი, ნუ მოაკლდებიან ლვოის მცნებათა მოსმენას. (ხალხი ამომრავდება. ჩადრებში შემოსილი დაკაცები თითო-თითოდ შემოდიან და მასაკაცების უკან მუკრივდებიან. ნესრულაპ მაღალი ხმით) წაწყმედილთა და ჯოჯოხეთსა შიგან შეთენილთა უმეტესი წილი იმათგან შესდგების, ვინც უარჲყო სიტყვაი იგი ლვოისა და არა შეულლდაო, კვალად ბრძანებს წინასწარმეტყველი. (ნელის ხმით მამა ახმედს). მამაო ახმედ, მე უკვე დავიქანცე ეხლა ცოტა შენ შთააგონე...

მამა ახმედ. ბატონ მოძღვრის სიტყვებიდან ის გამრდის, რომ ჯოჯოხეთში მოქცეულთა უმრავლესობა შესდგება „სიილეს“ და „მუთლეს“ მოკლებულ დედაკაცებისა და მამაკაცებისაგან...

შეიხ ნესრულლაშ. (ხმამალლა მამა ახმედს). ხმა მაღლა
სთქვი, ხმა მალლა! ორი თავი ლოცვაი, რომელსა
გადაიხდის ლვაის მცნების აღმსრულებელი შეულლე-
ბული, უფრო მეტად აამებს უფალს, ვიდრე შეულ-
ლებას მოკლებულის მიერ სამოცდა ათასის გადახდა.
(უცემ წამოხტება, მარჯვნა ხელს ხალხისკენ გაიწევდის და უფ-
რო ხმა მალლა) ისმინეთ, მართლმორწმუნენო! შეულლ-
დით, რათა ასცდეთ ეშმაკის ცოტნებას და ქრის-
ტიანების ბერთა თანა მოძმეობას!

ჰაჯი ჰასან. (მიერ მოძლვრის წინ, დაიჩინებებს და იატაკს ემთხვევა).
ჩეენო მოძლვარო! ოღონდ შეგვიბრალე, შეგვიწყალე
და ყოველსავე შენს ბრძანებას აღეასრულებთ!

შეიხ ნესრულლაშ. (ცოტა ხანს ჰაჯი ჰასანს შიაპყრობს თვალს და
შემდეგ ტირილით). დღესა მას ერთსა, ოდეს წინას-
წარმეტყველი დავით სასაფლაოს მიღმა შიდიოდა,
განგებითა უფლისათა მას შემდეგი სასწაული ვა-
მოეცხადა: ანგელოსი ლვთისა, რომელიც მოელინე-
ბულ არს ტანჯვად ცოდვილთა, მიცვალებულს ეტყო-
დის... (ჩერდება და ჯდება. ხალხი სტირის) მამაო ახ-
მედ! ლაპარაკი აღარ ძალიძის...

ჰაჯი ჰასან. უფალმა ჯანმრთელობა მოგცეს, ჩეენო მო-
ძლვარო! (გარეთ ხმაურობაა. ისმისა „ცოტა იქით! გზა მიე-
ცითო!“ შემდეგ შემოდის ჰაიდარ აღა და ალი-ბეგ. შეიხ ნეს-
რულაშ ფეხზე წამოდგება).

შეიხ ნესრულლაშ. ეინ ბრძანდებიან ეს აღები?

ჰაჯი ჰასან. ეს ჰაიდარ-აღა გახლავთ, ფოსტის მოხელე,
ესეც ალი-ბეგ — საშმართველოს თარჯიმანი.

შეიხ ნესრულლაშ. (ორივეს). როგორ გიკითხოთ? ლვთით ხომ
კარგად ბრძანდებით?

ჰაიდარ-აღა. თქვენისთანა ბრძენ-მეცნიერის ლოცვა კურ-
თხვა ღმერთმა ნუ მოგვაკლოს!

ალი-ბეგ. ღმერთმა გვიცოცხლოს თქვენი თავისი და საკუთრებული დასწდებიან)

შეიხ ნესრულლაშ. აღსრულებისა უამსა, ოდეს გვამს სამცხედროსა ზედა დაასვენებენ, მუნ ზეცით გაღმოესვენების ანგელოსი, რომელსაც ნებითა ლეთისათა ხელით უკურია ბედისა წიგნი, და ოდეს ანგელოსი იგი კუბოსა ფიცარსა ზედა აღბეჭდს კალმითა სიკვდილისათა — სული აღსრულებულისა წარსდგების წინაშე უფლისა. (უცემ შეჩერდება და „ჰოი“, „ჰოი“ ს ძალილით ხელს მარცხენა გვერდზე მიიღებს. ხალხი გაოცებული ხმას არ იღებს. ამ დროს მარა ახმედ წამოდგება, ჰაჯი ჰასანს თვალით ანიშნებს — გამომყეო, და ორივენი გარედ გაელენ. მოძლევარი განაგრძობს) .. დიალ, სული აღსრულებულისა წარსდგების წინაშე უფლისა მიცემად პასუხისა კითხვათა მის ზედა. კითხვი იგი პირეელი: „ჰოი, ცოდვილო! სხეული შენი შემკობილ არს სამოსლითა ურჯულოსათა. მითხარ: რაი ჰქმენ შენ შემკობად სულისა შენისა, რომელიცა წარმოადგენს სამკვიდრებელსა ჩემსა? სახელჰყავ საქმენი შენი და შრომანი შენი სულისა შენისა სახსნელად!..

ჰაიდარ-ალა. დიალაც რომ დამნაშავენი ვართ ლეთისა წინაშე მონანი მისნი, მოძლევარო! (ხალხს მიუბრუნდება და დაბალის ბმით). ვაშა ჩვენს მოძლევარს! მართლაც რომ ზღვაა სიბრძნისა და მეცნიერებისა! მე დღემდე ასეთ პიროვნებას არ შევხვედრივარ...

ალი-ბეგ. ვაშა, ვაშა მოძლევრის სიბრძნეს!

შეიხ ნესრულლაშ. ბატონნო ჩემნო, ამ ოლქში თქვენს გარდა მოიპოვება კიდევ სხვა ვინმე უცხო ენების მცოდნე, თუ მარტო თქვენ ორნი ბრძანდებით?

ჰაიდარ ალა. არა, მოძლევარო, სხვა არაეინ მოიპოვება, ჩვენ თანი ვართ მხოლოდ. მართალია, ჰაჯი ჰასან-

საც ჰყავს შვილი, რომელმაც სწავლა უფრობაში
დაამთავრა, მაგრამ ვაი რომ ბოლოს სანანებელი
შეიქნა! ცოტაოდნად უცხო ენის შესწავლას არა
უშავს-რა და არც სასირცხვო საქმეა (ამ დროს შემო-
დიან მამა ამედი და ჰაჯი ჰასანი). მაგრამ მუსლიმა-
ნის შვილის უცხოეთში უცხოთა შორის წლობით
დარჩენა, თქმა არ უნდა, კარგს არას მოიტანს.
ასეთ კაცს რჯულისადმი სიმტკიცე ეყარგება.

ჰაჯი ჰასან. ძვირფასო მოძლვარო! მართალი უნდა მო-
გახსენოთ, რომ მე შვილის მხრით უბედური კაცი
ვარ. შეცდომა ჩავიდინე, მაგრამ ეხლა რაღა გაე-
წყობა!

შეიხ ნესრულლაშ. (ხალხს). ჰაჯი ჰასანის შვილი აქ თქვენ
შორის იმყოფება?

ჰაჯი ჰასან. არა, ბატონო მოძლვარო! თქვენ რომ დაგი-
ნახათ, შერცხვა იმ პირზეას და სადღაც დაიმალა.

შეიხ-ნესრულლაშ. უზენაესი ბრძანება ლეთისა აუცილებ-
ლად ყველა მუსლიმანმა უნდა შეასრულოს. ჰაჯი
ჰასან-ალა! დაუძახეთ თქვენ შვილს, მსურს გაეიცნო
იგი! (ჰაჯი ჰასან გავა. ხალხს შორის ერთი დედაკაცი მოჰ-
ყვება ტირილს). რა ატირებს მაგ დედაკაცს?

მეშედრ ოროვ. (წინ გამოვა). ბატონო მოძლვარო! ეს
დედაა ჩემი. სიხარულით სტირის, რადგან შენის
წყალობით მას ხოროსანში შვილი გაუცოცხლდა,
ქერბალი ფეთხულაშ.

თუქეზიბან. (ჩადრმოხვეული გამოდის წინ). შენ დაგენაცელოს
ჩემი თავი, დიდო მოძლვარო! შენ უნდა მომცე ჩემი
შვილი, შენ...

შეიხ ნესრულლაშ. (იმა-მალლა). ყოველ სიტყვას თავისი ად-
გილი და მიმართულება აქვს!



შაშა ახმედ. (დედაკაცს). ჰეი, შენ, დაო! ნუ აწერები მოძღვარს! მაგისი დრო არ არის! (ჰაჯი შასაძის შემოსიყავს ისკენდერი, რომელიც მოაძლვრის წინ გაჩერდება, ხელებს ჯიბეში ჩაიშურას და მოძლვარს სახეში უცემერის).

შეიხ ნესრულლაშ. რა ჰქეიინ ამ ალას?

ჰაჯი ჰასან. თქვენი მონა-მორჩილის სახელი ისკენდერი გახლავთ.

შეიხ ნესრულლაშ. დიალ, დიალ, ისკენდერ მაჟოდენელი... ისკენდერ ზულ-კერ-ნეილი. რა ლამაზი სახელია! საკაცობრიო ისტორიასა შინა დღემდე არ ნახულა არს ადამიანთა ტომის სხვა ვინმე, რომელსაც ეგოდენი ლეაწლი და შრომაი დაედოს გაუმჯობესებად ზნეობისა და ცხოვრებისა, დასამყარებლად შშვიდობიანობისა, რაოდენი დასდო მან. უამსა მას გოგთა და მაგოგთა შემოსეებისასა, მან ალავო საკეიირელებაი იგი მსოფლიოისა — კედელი ჩინეთისა და თვის-სა თავსა დასდო დიდი ჯაფა, რომლისაგან განცვიფრებულ არიან ქვეყანანი. ბატონი ისკენდერ! თქვენც თუ რაიმე თანამდებობის პატრონი ბრძანდებით?

ისკენდერ. არა, მე არც ერთი თანამდებობა არ მიჰირავს. თანამდებობის პირნი ეს (მიუთითებს ჰაიდარ-ალასა და ალი-ბეგზე). ალები ბრძანდებიან...

ჰაიდარ-ალა. (თავისთვის.) დარწმუნებული ვარ, კულავ მთერალია...

შეიხ ნესრულლაშ. (ისკენდერს.) სჩანს, ამ ბატონებთან შედარებით, თქვენ ნაკლები სწავლა გქონიათ.

ისკენდერ. დიალ, დიალ, ერთიც და მეორეც ზღვაა სიბრძნისა. ეხლა კიდევ, თუ ლეთის წყალობით, თქვენგან მიცვალებულების მკვდრეთით აღდგომის საიდუმლოებას შეისწავლიან, ისეთ ბრძენ-მეცნიერებად

გადაიქცევიან, რომ მსოფლიოში ბადალი მაყა-
ლებათ...

შეიხ ნესრულლაშ. ჰაჯი ჰასან-ალა! ვთხოვთ, ეს უზრდელი
მოაშოროთ აქაურობას. ეს გადარჯულებული ლეთის
სიბრძნესაც დასკინის. (ჰაჯი ჰასანი და სხვები მოვარდდ-
ბიან ისკუნდერს და გარეთ გააგდებენ).

ჰაიდარ-ალა. ჩვენო მოძღვარო! ყურადღებას ნუ მიაქცივ
მაგ წუწქს; უგუნურია, სმის მეტს არაფერს აკეთებს,
ტვინი გამოლაყებული აქვს...

მირ ბააკერ-ალა. სმა ხომ სმაა, მორიდებაც ალარა აქვს.
სულ იმას გაიძახის, დედაკაცებმაც პირახდილებმა
უნდა იარონო...

შეიხ ნესრულლაშ. (მაღალი ხმით) როგორ?

ჰაჯი ქერიმ. ძალიანაც ნუ შესწუხდები მირ-ბააკერ-ალა!
მაგისთანა უკულმართობას ეგ ცხოვრებაში ვერ გაა-
ტარებს, ვერ შესძლებს მაგას...

მირ ბააკერ-ალა. როგორ თუ ვერ შესძლებს!? გუშინ არ
იყო რომ თავის ცხრა წლის დას ეუბნებოდა: წამოდი
ჩემთან, ქუჩაში გავიარ-გამოვიაროთო... ჩემი ყუ-
რით გავიგონე ეს სიტყვები.

შეიხ ნესრულლაშ. (წამოდგება) ეაი ჩემო თავო! ამ ქალაქში
მე ალარ დამედგომება! (კარებისკენ წავა. ხალხში ჩოჩქო-
ლი და არევ-დარევაა).

ჰაჯი ჰასან. (მოწიწებით და ვედრებით ემთხვევა ფეხებზე). დი-
დებულო მოძღვარო! ცოდვილი ვარ და შემინდე!
შენს წყალობას ნუ დაიშურებ ჩემთვის! რა სასჯე-
ლიც ეკუთვნის—მიკუსჯი, ოლონდ შენ ჩემი სახლი-
დან ნაწყენი ნუ წაბრძანდები, ოლონდ ნუ დამლუბავ!

მე შპედი ოროვ. თქვენ დამშეიდდით, ჩვენო მოძღვარო!
ჩვენ ეხლავე, ამ წუოშივე გამოვედევნებით და გავ-



დევნით აქედან. წავიდეს, გადაიჩეხოს ჯოჯოხეთის უფსკრულში! (ხალხიდან რამდენიმე ჰაცი დაედევნება ისკუნდერს).

ჰაჯი ჰასან. (პდევრება). დაიცათ, დაიცათ, თითონ მე დაესჯი მაგას! ჰაჯი ბებშ-ალი, ჰაჯი ქერიმ, ჰაჯი ქიაზიმ, შეაჩერეთ ყმაწვილები, თითონ მე გამოვალ იმ შეჩვენებულის ოჩტიდან. (ხალხი ოთახიდან გაიკითება, დარჩებიან მარტო მარა აჩედ და მოძლვარი).

შეის ნესრულლაპ. ახმედ! ეს ისკუნდერია, თუ ვიღაც, მე როგორლაც თვალში არ მომდის...

მამა ახმედ. (ცოტა ფიქრის შემდეგ). შენ ნუ შესწუხდები. მაგას აქ კაცად არავინ ავდებს. შენ არხეინად იყავი და შენი საქმე განავრძე.

შეის ნესრულლაპ. (კარგისკუნ იხედება). ახმედ, გადი და მას-ჰინძელს ჩუმად გადაეცი — საჭმელი მომიტანონ. სოხოვე, მოსასვენებელი ადგილი მომიმშადონ — ცოტა მოსვენება მეტირვება. მეორეც... (შეჩერდება) რა თქმა უნდა, იმასაც მოავარებდი... რაღაც მამტვრევს, ტკივილებს ვგრძნობ... ხომ იცი (იზმორება)... აუცილებლად მეთქი, გესმის? მაღლობა ღმერთს, გამოცდილი ხარ... აბა დატრიალდი შენებურად! (ახმედ გავა, მოძლვარი მობრუნდება და კვლავ ჭვაშავებელშე ჩამოჯდება. ცოტა ფიქრის შემდეგ, თავისთვის.) როცა ავადმყოფობაზე ვლაპარაკობ, ახმედს არ სჯერა. ჰეონია ვთალლითობ... ვერ წარმოუდგენია, რა ძლიერი სენითა ვარ შეპყრობილი... (ჩატიქრდება) და სწორედ ამ სენის ბრალია, რომ მე ფლიდ ახმედის ხელში ბალლად გადავიქც და ყოველდღე შეეთხოვ და ვეხვეწები... (სახეზე ხელებს მიიფარებს. ჰაჯი ჰასანის მოსამსახურეს ხონჩით შემოაქვს საინებზე დაწყობილი ფლავი და ნაირ-ნაირი საჭმელი. ხონჩას მოძლვერის ჭინ დასდებს და გავა

შამა ახმედიც შემოვა და კუთხეში გაჩერდება. ამის შემდეგ გამოჩენდება ორი ჩადრიანი დედაკაცი. მათ პატარა გოგოს-თვის იქით-აქედან მყლავებში ხელები ჩაუვლიათ. ჩურჩიულით შემოიყვანენ და კარების გვერდით გაჩერდებიან. კვლავ შემოვა მოსამსახურე და სანათურება აანთებს. შემოვა ჰაჯი ჰასანიცი).

ჰაჯი ჰასანი. (გოგოს). ნუ გრცხვენია, შეილო, ლეთის ნებაა ეს და სამარცხევინო არაფერია.

შეიხ ნესრულლაში. (მამა ახმედს). მამაო ახმედ, ჩემი მხრი-დან ვექილი შენ იქნები. სისრულეში მოიყვანე სიი-ლეს პირობები.

შამა ახმედ. ბატონი ბრძანდები. (ცველ-ნი გავლენ, კარებს მოხურავენ და ოთაბში მოძღვარს და პატარა გოგოს დასტუ-ებენ. გოგო მივარდება კარებს, უნდა დედაკაცებს გაჰყვეს, მაგრამ კარები დაკეტილი დაწვდება).

შეიხ ნესრულლაში. (წამოდგება, ცოტა შეუიქრდება და შემდეგ გო-გოს მიმართავს). შენი ნებაა, თუ გინდა—წახვალ, თუ გინდა—დარჩები. შენ სურვილზეა დამოკიდებული, რომ სიკედილიდან დაწყებული განკითხვის დღემდე სულ წამებაში იყო, რომ, როცა სამარეში ჩავდე-ბენ, შენი ფეხების მხრიდან ხერელი გაიხსნას ჯო-ჯოხეთისკენ და იქიდან გამოქანებული ჯორის ოდე-ნა მორიელები დაესიონ შენ გვამს. ისიც შენ ნე-ბაზეა დამოკიდებული, რომ როცა სამარეში ჩაგას-ვენებენ, შენ თავთან სარკმელი გამოიკრას, სამოთ-ხის ყრმა ლილმანი გამოგეცხადოს და ტკბილი ალერ-სით გაგართოს. მერე იცი, ამ სანეტარო ეამს რა მოხდება: ყრმის ყელზე შემოვლებული თვალშარგა-ლიტებით აკინძული საყელური მოსწყდება და თვლები ძირს გაიბნევა. როცა შენ ამ თვლების აქ-რეფასა და ასხმაში იქნები გართული, დაინახავ, რომ სამოცდაათი ათასი საამქვეყნიო საათის ჩამოკვ-

რის დრო შესრულებულა. დაიწყება რეკა და დადგება განკითხვის დღე! (გოგოს უახლოვდება. სცენა წელნელა ბრელდება). ამ დროს შენი მოალერსე სამოთხის ყრმა ლილმანი მოგავლებს აი ასე ხელს (გოგოს ჩავლებს ხელს). და ტკბილი ლიმილით გეტუვის: რა მაღლიანი საქმეები გაგიკეთებია იმ ქვეყნადო. (გადევვა).

ფ ა რ დ ა

მოქმედება მისამა

მოქმედება სწარმოებს ქალაქ გარეთ. სცენა წარმოადგენს სასაფლაოს, სადაც შეკრებილა დიდიალი ხალხი. ცველანი ფეხშიშველა, გულშე ხელდაკრებილი დგანან. მაძლვარი შეის ნესრულა! მაღალ ქვაზე ზას, ხელში ძველი წიგნი უჭირავს და ღრმა სიტყვებით ქადაგებს.

შეიხ ნესრულლაშ. კაცმან, რომელმან სრულჰყოს თავი თვისი მეცნიერებისა საიდუმლოებით, ეზიაროს წყაროსა მას უკვდავებისასა. კეშმარიტ არს ესე, ვითა სიტყვა ღვთისა! (შექერდება, შემდეგ ორივე ბელით წიგნს მაღლა ასწევს და ნელის ხვით). ესე არს წიგნი! ესე არს სიბრძნეი! ესე არს წყარო დაუშრეტელ საიდუმლოებათა! ისმინეთ, მორწმუნენო, ხმა უფლისა, მაუწყებელი გზისა კეშმარიტებისასა! (კულავ შექერდება, შემდეგ უფრო ნელის ხვით). მეცნიერებათა საიდუმლოებანი ორ ნაწილად განიყოფებიან. პირველ არს სწავლა ნიეთთა, რომელ მისაწვდომ არს ყოველ მომაკვდავისთვის. მეორე არს — სულისა საიდუმლოებანი, რომელთა მიწვდომა არ ძალუქთ მომაკვდავთა, თუ არ განვებითა უფლისათა. მეცნიერებაი ესე რამდენიმე დარგად განიყოფების. (ოდნავ ხმას უმალლებს.) პირველ არს თილისმაი. მაგრამ დღეს ჩვენთვის ეს დარგი საჭირო არა არს. მეორე — სულისა საიდუმლოების ვითარებაი. არც ეს ვეესაჭიროება ჩვენ, მესამე — ოცნებათა თვისებაი. ეს ჩვენ საჭმეს არ ეხების. მეოთხე — თვალთმაქცობაი. არც ეს შეად-



გენს დღევანდელს ჩვენს საზრუნავს. მეხუთე (წამოდგება, პირს საფლავისკენ იძრუნებს, ცოტას შეჩერდება და მა ლალის შმით.) — მიცვალებულისა ამა ქვეყნად გამობრუნებაი! (დაჯდება). წიგნი ესე, კრებული ლვთისა საიდუმლოებათა და სულისა და ხორცის მარგებელ მცნებათა, მიღებულ და დაფასებულ არს ყველა მეცნიერ-ბრძენთაგან. სახელმწიფოს სიამაყისა და სჯულის დედაბოძისა, მისი ბრწყინვალების ემირ ბეჰადირისათა — კურთხეულ იყოს სახელი მისი! — მე, მონამან უფლისამან, ნესრულაჲ ჯაფარის ძემ, მოქადაგემ ისპაჰანელმან, შევაღვინე წიგნი ესე დარგად მეცნიერებათა. ხოლო სახელწოდებაი ამა წიგნისა, რომელ დამყარებულ არს ხუთთა ზრახვათა ზედა, იქნების: „საიდუმლო მეცნიერებაი მკედრეთით აღდგომისაი“. თავი პირველი წიგნისა ამის ფრიადისა არს „სიმიაი“, მეორე — „რიმიაი“, მესამე — „ხიმიაი„, მეოთხე — „ლიმიაი“, მეხუთე — „ჰიმიაი“. მაგრამ ჩვენ მეცნიერების ამ დარგებთანაც საერთო არა გვაქვს-რა (შეჩერდება). რათა ნათელვაჲყო საიდუმლოება უფლისა, თავს ვიდებ ახსნად სიტყვისა „აღდგომა“. რაი არს სიტყვა ესა, რომელსა შიგან უფალმან ჩვენმან ეგოდენი საიდუმლოება შთანერგა?.. სიტყვაი ესე ლვთისა სამმარცვლოვან არს, რომელიც შესდგების სამისა ხმოვანისა და ოთხისა თანხმოვანისა ასოსგან, რაიცა ნიშნავს სიკვდილისა შემდგომად კვლავ გაცოცხლებას. (მცირე ჩანს ერთ წერტილს მიაპყრობს თვალს და შემდეგ მაღალი ხმით.) დასხედით! (ზალხი ერთბაშად დაეშვება). ზოგი ურწმუნო გაიძახის: „ვინაიდან აღამიანს სიკვდილის შემდეგ ეხსნება თავისი მოვალეობა, კელავ მის აღდგომაზე

ლაპარაკი უაზრობააო“ . (მაღალი ხმით) იქნება თქვენ
შორისაც მოიპოვებიან ასეთები? თუ არიან, მოვი-
დენ ჩემთან, მე აი ამ წიგნით შესაფერ პასუხს მივ-
ცემ. ვინ არის ის, რომელიც ამბობს: მიცვალებულ-
ნი ამ ქვეყნად აღარ მობრუნდებიანო?!

მამა ახმედ. (ჩუმად, მოძღვარს). ლრმად ილაპარაკე, ლრმად!

შეიძ ნესრულლაპ. (ხმა მაღლა) უკეთუ ძალგიძთ მიღწევად
საიდუმლოებისა მის მკედრეთით ალდგომისაი, მიპ-
ბაძით საარაეოსა ერთსულოვნებასა შიელთასა,
შემდგომად რომლისა ჯიუტობისა სული გულსა
თქვენსა აღარ დაისადგურებს. კვლავად თუ აღმო-
ჩნდებიან თქვენთვისა შორის ურწმუნონი, რომელთა
არა სცნან და ყურად არ იღონ განვებაი უფლისა,
ვეტყვი მათ სასწაულსა ამა ქვეყნისა შემოქმედისა-
სა: უფალმან მაღალმა მონისა ერთისა ცხოვარი,
რომელსა ზურგსა ზედა ხელი გადაუსო, სამოცდა-
ათ ცხოვარად აქცია. (ტირის.) დიდ, ერთისა ცხოვა-
რისა სამოცდაათ ცხოვარად გიდამაქცევი უფალი
თავის მონებს კიდევ მოჰკლავს და კიდევაც გაა-
ცოცხლებს. (ხმას აუმაღლებს.) ვინ არს ამის უარმყო-
ფელი? მოვიდეს ჩემთან ის ურწმუნო, და მე აი ამ
წიგნით მიცემ მას შესაფერ პასუხს!..

ჟავი ჟახან. შენ დაგენაცვლოს თავი ჩემი, დიდო მოძლ-
ვარო! ღვთის მცნებათა უარმყოფელნი ურწმუნონი
არიან.

შეიძ ნესრულლაპ. (მრისხანე და მაღალი ხმით) ზე წამოდექით!
(ყველანი ერთბაშათ წამოდგებიან). განა არ გსმენიათ,
რომ სამოცდაათი ითასი კაცი, მთელი ური, ზავი
ჭარით მოისპო? წინასწარმეტყველი ითა შეცვედრა
უფალსა: -ყოვლისა შემძლებელო უფალო! სურეილ-

სა შენსა ძალუძს მკვდრეთით აღდგომა ამა მიცუა-
ლებულთა, რაიცა ქვეყანასა შენსა განადიდებს და
ააშენებს. ისინი მორჩილად შეხვდენ შენის განგე-
ბით მოვლინებულ უბედურებას და წამებულნი, წმინ-
დანებად იქცნენ. ეხლა, უფალო მაღალო, კეთილ
ინებე და განაცოცხლე და განაყმაშვილე იგინი,
კვლავ გამოაბრუნე ამ ქვეყნად, რომ აღაშენონ და
აღაყვაონ დაბა-სოფელნი შენნი“. უფალმა ლირსპუ-
პასუხად (ტირის): „ხალხი ესე, გარდაცვლილი კირი-
თა დიდითა, გწადის შენ გაცოცხლებად?..“, „დიალ“,
მიუგო წინასწარმეტყველმა ვედრებითა და ლოცვით.
(ხალხი ტირის). უფალმა უსმინა მას, და მიცუალე-
ბულნი განგებითა უფლისათა გაცოცხლდენ. სასწა-
ულმა ამან კვლავ განამტკიცა სახელი და დიდება
შემომქმედისა. იკურთხოს სახელი უფლისა და წმინ-
დისა მოციქულისა მისისა!

ხალხი. (ტრთად). იკურთხოს, იკურთხოს!

ჰაჯი ქერიმ. (ტირილით) ჰე, დიდო მოძლვარო, შენ დაგე-
ნაცელოს ჩემი სახელი! მე შენ გთხოვ ფალავან
შვილს, რომელიც აგერ ერთ თვეზე მეტია გარდაი-
ცვალა. დამწვა და დამდაგა მისმა სიკედილმა. მიშ-
ვილე, მოძლვარო, ცოდვა ვარ. (ხალხში ჩოჩქოლი და
ტირილით ვედრება).

პირველი. მამა გამიცოცხლე, მოძლვარო, მამა!

მეორე. დედა გამიცოცხლე, მოძლვარო, დედა!

მესამე. საყვარელი დაი გამიცოცხლე!

მეოთხე. დაუვიწყარი ძმა გამიცოცხლე, მოძლვარო!

შეის ნესრულლაპ. (ხმა მალლა). სიწყნარე! (წამოდგება და საფ-
ლავებისავენ მარტონდება) თქვენ მოგმირთავთ, მიცუა-
ლებულნო! (გაოცებული ხალხიც ს ფლავებისკენ იკურთხდა).

მამაო ახმედ! აიღე საწერ კალაში, ვინც მოხოვეს ნა-
თესავ-მოყვრების გაცოცხლებას, მათი სახელები ჩა-
წერე და გადმომეცი. (ზალბში არევ-დარევა. ყველას უნდა
პირველი მივიდეს და ჩაწერინოს. მოძღვარი მაღალი ხმით
მიმართავს) სიწყნარე და წესრიგი! (ზალბი დაწყნარდება).

მამა ახმედ. (საწერ კალაშს იღებს). სახელითა ლეთისათა, მო-
წყალისა და შემბრალებლისათა! ყველა თქვენგანი
თხოულობს თავის მიცვალებულის გაცოცხლებას და
ამ ქვეყნად გამობრუნებას. თვითეული თქვენგანი
წეს-რიგით და თავდაცერილად მოვა ჩემთან და
მეტყვის მიცვალებულთა სახელებს. მეც ჩაწერ და
მოძღვარს მივართმევ. (ზალბში კვლავ არევ-დარევა).

შეიხ ნეხერულლაპ. (ზმა მალლა და მრისხანედ.) სულგრძელობა
მუსლიმანთა კრებულს! (ზალბი შიშისაგან წყნარდება. მო-
ძღვარი ჰაჯი ჰასანს მიმართავს.) ჰაჯი ჰასან-ალა! სთქვით
თვითეულად თქვენი მიცვალებულების სახელები,
რათა მამა ახმედმა ჩასწეროს!

ჰაჯი ჰასან. (ცულხე ხელდაკრებილი გამოდის და მოწიწებით
მამა ახმედს). მამაჩემი ჰაჯი მექდი—უფალმა თქვენ
მიცვალებულებს სასულეველი დაუმკეიდროს!

ზალბი. (ერთად). უფალმა დაუმკეიდროს სასურველი! .

მამა ახმედ. (სწერს). შენი მამა ჰაჯი მექდი...

ჰაჯი ჰასან. დედა ჩემი სექიინე.

მამა ახმედ (სწერს). დედა შენი სექიინე...

ჰაჯი ჰასან. ჩემი ერთი შეილი ჯააფერ.

მამა ახმედ. შენი ერთი შეილი ჯააფერ.

ჰაჯი ჰასან. ჩემი მეორე შეილი ჰაიდარ.

მამა ახმედ. შენი მეორე შეილი ჰაიდარ.

ჰაჯი ჰასან. ჩემი ქალიშვილი სარა...

მირ ბააკერ-ალა. (ზალბიდან დაიჯვირებს). ნუ სწერ! მაგას ნუ.

სწერ! (ჰაჯი ჰასან და მთელი ბალზი გაოცებული იყვრება
მირ ბააკერ-ალისაკენ).



შეიხ ნესრულლაშ. (ზმა მალლა). ის ვინაა, ნუ სწერო, რომ
გაიძახის? მას რა საქმე აქვს?

მირ ბააკერ-ალა (წინ გამოვა). ჩვენო მოძლვარო! სასირცხვი-
ლოდ ნუ ჩამომართმევთ და ის ქალი ჩემი საცოლე
იყო...

შეიხ ნესრულლაშ. კარგი და პატიოსანი, მაგრამ რატომ
არ გსურს მისი გაცოცხლება?

მირ ბააკერ-ალა. (თქმა ეძნელება). დიდო მოძლვარო! თუ ჰაჯი
ჰასანი... მართალი კაცია, რატომ თავის ძმას, ჰაჯი
რიზას, არ აწერინებს?

ჰაჯი ჰასან. (ვაბრაზებული). მერე, რა შენი საქმეა! ჩემი
ლეიქლი ძმაა, მინდა დავაწერინებ, მინდა — არა. შენ
ეს არ შეგეხება!

შეიხ ნესრულლაშ. მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის! (ჰაჯი
ჰასანი.) ჰაჯი ჰასან-ალა! რა მიზეზია, რომ შენი ძმის
ჰაჯი რიზას სახელს არ აწერინებ?

ჰაჯი ჰასან. (თავჩაქინდორული ფიქრობს). მოძლვარო! ჩემი ძალა
ჰაჯი რიზა ხუთ წელიწადზე მეტია გარდაიცვალა.
აღარ ვიცი ეხლა, დამპალი და მიწადებელი კა-
ცი როგორ უნდა გაცოცხლდეს და კვლავ ამ ქვეყ-
ნად გამობრუნდეს?

შეიხ ნესრულლაშ. (ზმა მალლა). როგორ თუ დამპალა? ვინ
დაალპო მერე? მიაპყარო გულისყური თქვენი ავე-
ბულებასა ადამიანისასა, ლვთის განგების წყალობით,
ვითარის სასწაულით არს იგი შედგენილი! ყოველი
ნაწილი მისი უკედავებით არის მოსილი. დიალ, მორ-
წმუნენო, არსთა შორის სულიერთა ადამიანი მოვ-
ლენილ არს სახისა ლვთისა მატარებლად!

ჰაჯი ახან. დიდო მოძლეარო! ამას გთხოვ, თუ შესაძლებელია, მოფიქრებისთვის ცოტა დრო მომწერ...


შეიხ ნესრულლაპ. კარგი, წადი და მოიფიქრე! (ჰაჯი ჰასან თავდაბრილი გავა ხალხიდან). ჰაჯი ბებშ-ალი! ეხლა რიგი შენია, შენი მიცვალებულების სახელები სათითაოთ უთხარ მამა ახმედს!

ჰაჯი ბებშ-ალი. (ხელდაკრებილი წინ გამოვა, თან სტირის). შენ დაგენაცვლოს ჩემი თავი! ვაუი შვილის ნატვრამ დამწვა-დამდაგა. მთელს ჩემს სიცოცხლეში უფალმა მხოლოდ ორი ვაუიშვილი მიწყალობა, მაგრამ მე საწყალს ორივე გამომეცალა. ერთს ერქვა ჯალილ, მეორეს—ხალილ. ჯალილ ათი წლისა იყო, ხალილ—რვისა. ორივე დანიშნულები იყვნენ. ჯალილის საქორწინოთ ვემზადები, რომ უცებ, მხიარული ნავარდობის დროს აი აქ (უჩვენებს ხერხემალზე) რაღაც წყლული გამოუვიდა. ალარა ეშველა-რა. ბევრი ვაწამლინე ქალაქში დალაქ ჯაფარს, მაგრამ იმანაც ვერაფერი გააწყო. (ტირის). ომბ, ჩემო საწყალო შვილო, ჯალილ! რამდენი ალთქმა არ დავდე, რამდენი ზვარაკი არ გავიღე, რამდენ სალოცავში არ წავიყვანე, მაგრამ არა ეშველა-რა. თურმე ნუ იტყვით, საბრალოს სიკვდილი შუბლზე ეწერა...

შეიხ ნესრულლაპ. ჰაჯი ბებშ-ალი! აქ დიდხანს მოცდის დრო არა მაქვს!

მამა ახმედ. ჰაჯი ბებშ-ალი! სიტყვას ნუ ავრძელებ. მითხარ, ვინ ჩავწერო!

ჰაჯი ბებშ-ალი. (მოძლეარს). ბატონო მოძლეარო! მეტი სათქმელი ალარა მაქვს: ჩემი ჯალილ და ხალილ მომიელინე. ამას გთხოვ.



მამა ახმედ. შენი ერთი შვილი ჯალილ და მეორე სალილ
ესენი უკვე ჩავწერე. სხვა?

ჰაჯი ბეხშ-ალი. მამაო ახმედ, კმარა ესენი...

მამა ახმედ (კაკვირვებით). როგორ, მამა, დედა და სხვა ნა-
თესავები არ გარდაცვლილან?

ჰაჯი ბეხშ-ალი. როგორ არა, მამაც და დედაც გარდამე-
ცვალა, მაგრამ ისინი ძალიან მოხუცებულნი იყვნენ,
ასე რომ სიცოცხლეც-კი ეზარებოდათ. (საფლავები კენ
მიიხედავს). საბრალო ჩემი შვილები! მათი სამარეები
აქედანაც მოსჩანან. ერთი მეორეს გვერდზე დავა-
საფლავე. საბრალო ჯალილ ცოტა ცელქი იყო, მაგ-
რამ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ეს არის, რომ...

შეიხ ნესრულლაშ. (გრლმოსელი). ჰაჯი ბეხშ-ალი! თუ სხვა
მიცვალებული არა გყავს, გაეცალე მამა ახმედს!

ჰაჯი ბეხშ-ალი. სხვა არავინ მყავს, მოძლვარო...


ქერბელი ველი. (ხმა მალლა). როგორ თუ არავინ გყავს?!
შენს მეუღლეს ჰურიშენს რად არ ასახელებ? (ხალხი
იქით მიიხედავს. საიდანაც ხმა მოისმა).

შეიხ ნესრულლაშ. ვინ არის ის? თუ სათქმელი აქვს, აქ
გამოვიდეს!

ქერბელი ველი. (წინ გამოვა). მე მაქვს სათქმელი, მოძლვა-
რო! აბა ერთი შეეკითხეთ ჰაჯი ბეხშ-ალის, რატომ
არ აწერინებს თავის მეუღლეს, ჩემ ღვიძლ დას,
რომლის სახელიც ჰურიშენია და რომელიც სამი წე-
ლიწადია გარდაცვალა?

ჰაჯი ბეხშ-ალი. დაიკარგე აქედან, შე ბრიყვო შენა! ის
ჩემი მეუღლე იყო, მინდა ჩაეაწერინებ, მინდა — არა.
რა შენი საქმეა?

შეიხ ნესრულლაშ. (ხმა მალლა). სიწყნარე! კამათი საჭირო არ
არის! ჰაჯი ბეხშ-ალი, გადაწყვეტილი პასუხი მოგვეცი?



ჰაჯი ბეხშ-ალი. (ყოფილის შემდეგ). გთხოვთ ნება დამიკავთა,
ცოტა მოეიფიქრო...

შეიხ ნესრულაშ. კარგი, წადი მოიფიქრე. მამაო ახმედ!
ვინ არის კიდევ მთხოვნელი? ჩასწერე და გავათაოთ.
13 ჯი ბეხშ-ალი და რამდენიმე მთხოვნელი გავლენ.

ქერბელაი ველი. დიდო მოძვარო! შენს ფეხებს დავენაცვ-
ლე, ჩემი და ჰურიშენიც ჩასწერინე სიაში. დე,
საბრალო ქალიც გაცოცხლდეს და თავისი თავგადა-
სავალი თითონვე მოგახსენოს. მაშინ გაიგებთ, თუ
რა დღე დაუყენებია მისთვის იმ შეჩერებულ ჰაჯი
ბეხშ-ალის. გაიგებთ იმასაც, თუ რა მიზეზით არ
უნდა მისი გაცოცხლება.

ჰაჯი ბეხშ-ალი. (უცებ საიდანლაც გამოვა და გაბრაზებული ქერ-
ბალა ველის). ბიჭო, არა გრცხვენია, რომ ასე ლაპა-
რაკობ? შეჩერებულიც შენა ხარ და წყეულიც! კარ-
გი, ჰურიშენის სახელიც ჩაიწეროს, იმ პირობით-კი,
თუ შენ ყველა შენ მიცვალებულს ჩასწერინებ!

ქერბელაი ველი. ძალიან კარგი, მეც ჩავაწერინებ...

მამა ახმედ. ქერბალა ველი, სთქვი შენი მიცვალებულების
სახელები და ჩავწერ!

ქერბელაი ველი. აბა ჩასწერე: მამა ჩემი მეშპედ მუსტაფა.
მამა ახმედ. (უწერს). მამა შენი მეშპედ მუსტაფა.

ჰაჯი ბეხშ-ალი. ძალიან კარგი!

ქერბელაი ველი. ჩემი ერთი ქალიშვილი პესოე.

მამა ახმედ. შენი ქალიშვილი პესოე.

ჰაჯი ბეხშ-ალი. ძალიან კარგი!

ქერბელაი ველი. სხვა ალარავინ არის.

ჰაჯი ბეხშ-ალი. (გაბრაზებული). როგორ თუ ალარავინ არის?
დედა შენს რატომ არ აწერანებ? დედა არ მოგიყვ-
და? საწყალი დედაკაცი, შარშან ცემით რო მოჰკა-

ლი? ჰერიჰა, რას გაჩუმებულხარ? გეშინიან: განა, არ
გაცოცხლდეს, არ გიჩივლოს და კიხეში არ ამოგა-
ყოფინოს თავი! რამ გაგაშტერა?

შეიხ ნესრულლაშ. ნუ კინ ქლაობთ! ქერბელაი ველი, თუ გინ-
და, დედა შენიც ჩააწერინე, თუ არა — გაეცალე!
ქერბელაი ველი. (თავზაქინდრული). ბატონო მოძლეარო, წა-
ვალ, ცოტას მოიტიქრებ...

შეიხ ნესრულლაშ. კარგი წადი, შენც მოიტიქრე. (ქერბალა
ველი და ჰაჯი ბექშალი, რომელიც ერთმანეთს მამლებივით
ჩასკერიან თვალებში, გადიან. სასაფლაოზე თავმოყრილი
ბალზიც ნელ-ნელა იშლება. ამ დროს შორიდან მოისმის მთვრა-
ლი ისკენდერის ხმა: „ძალიან კარგი, წადი, შენც მოიტიქრე!
ძალიან კარგი, წადი, შენც მოიტიქრე!“ ამ სიტყვებით მიად-
გება იმ ადგილს, სადაც ხალხი იყო შეკრებილი. ჯიბეებიდან
პურის ნატებებს იღებს. და სკამს. თან დარჩენილებიდან ხან
ერთთან მიერა, ხან მეორესთან, მყლავში ხელს გაუყრის და სი-
ცილათ სახეში შეკურებს. ისინი ხმაამოულებლად და თავზა-
ქინდრულნი შორდებიან და მიდიან. ამ დროს მოძლეარიც
ჩამოდის საქადაგებელ ადგილიდან, ხოლო მამა ასმედი კა-
ლამს, მელამს და ქალალდს ალაგებს).

ისკენდერ. (თავისთვის კვლავ იმეორებს). „ძალიან კარგი, წა-
დი, შენც მოიტიქრე!“ (დაინახავს მოძლეარს, შეჩერდება
მერე მაგრა გადინარხარებს. შემდევ თავს შეკავებს და მოძლ-
ეარს მიმართავს). ყველა წავიდა მოსაფიქრებლად. ა-
მხოლოდ მე, მოერალი ისკენდერი, დავრჩი. საასპა-
რებო ადგილი ეს არის, აქ არის საჭირო, რომ ის-
კენდერივით ახალგაზრდამ მდაბლად თავი დაგიკრას,
მოგესალმოს და ამ საბედისწერო მოედანზე გამოგი-
წვიოს: „ბატონო მოძლეარო! ყველანი, ვინც დამარ-
ხულნი არიან აი აქ, ამ სასაფლაოზე, გააცოცხლეო“.
ჰა-ჰა-ჰა! (მიიხედვს და მიმავალ ხალხს თვალს გაადევნებს)
ჰა-ჰა-ჰა! ყველა წავიდა მოსაფიქრებლად... (მოძლეარს

მიუახლოვდება და ხელს გაუწვდის). მომეცი ხელი დავშე+
გობრდეთ!

შეიხ ნესრულლაჲ. გამეცალე აქედან! არ მოგცემ ხელს, შენ
ლვინოსა სვამ!

ისკენდერ. ბატონო მოძღვარო! თქვენ მადლობელი უნდა
იყოთ, რომ ლვინოსა ვსვამ და გონებას ვიხშობ. რომ
არა ვსვამდე, ტვინის ნივთიერება ასე გამოლაყებუ-
ლი როდი მექნებოდა. მაშინ გონიერი, თვალხი-
ლული ვიქნებოდი და ნათლად დავინახავდი თქვენი
სახით მოვლინებულს დიდ მუშთეიდს, რომელსაც
თავისი თავი მიცვალებულთა გამოცხლებელ მოძ-
ღვრად გამოუცხადებია და გულუბრყვილო და ცრუ-
მორწმუნე ჰაჯიების თავები მკვდრეთით ალდგომის
საკითხებით გაუპრუებია, თანაც ყოველ საღამოს
თითა პატარა გოგოს შერთვა დაუწყია...

შეიხ ნესრულლაჲ. (ძალშე გაბრასებული). გამეცალე აქედან
ლვთის მადლმა, ისე დაგწყველი, რომ მიწასთან გა-
გასწორო! მე ლვთის კურთხევით ყოველ ლამ დაუ-
სრულებელ მადლს ვეწევი და შენსავით სამიკიტ-
ნოებში სიარულით დროს არ ვკარგავ! (მამა ახმეფს.)
მამაო ახმედ, აბა წავიდეთ, თორემ ეს შეჩვენებული
კიდევ ბევრ რამეს იტყვას. (მოძღვარი და მამა ახმედ
მიდიან).

ისკენდერ. (ოვალს გაადგინებს, მერე ნერის ნაპიჯით მიგა და საქა-
დაგებელ ქვაზე ავა, შესდგება და მუხლებზე ხელებს დაირტყამს).
ეჭ, ლვთის წინაშე, მეც რომ მოძღვარივით უბიწო
და ბრძენი ვიყო და მიცვალებულებთან საუბარი
შემეძლოს, პირდაპირ შევძახებზი მიცვალებულებს
(მამა მალლაჲ: „მიცვალებულნო!“ ყველა თავს ამოაჭოფ-
და სამარიდან და შემეკითხებოდა: „აპა რას გვეტ-



ყვი, ბატონი ისკენდერ!“ მეც ვეტყოდი (წელში გაი-
შ.რთება): „მიცვალებულნო! ერთ მშვენიერ დღეს ა
გეახლებათ მოძლვარი ნესრულაჲ, თავს დაგადგებათ.
შეუდგება ლოცვების კითხვას და მოგმართავთ;
„ალსდექით ლვთის მორწმუნე მონანოო!“ (შეჩერდება
და შემდგა დაბალის ხმით). მიცვალებულნო! ვირჩევთ,
მოძლვარ ნესრულლჲს არ გაუგონოთ. ინებეთ და აი,
ამ მთვრალი ისკენდერის რჩევა-დარივება მიიღოთ.
რათაო, თუ შემეცითხებით—ვიპასუხებთ: ახლა თქვენ
აქ სრულიად დამშვიდებულნი ხართ და არა იცით-რა
იმ ამბებისა, რაც ამ ქვეყნად ხდება. ვფიცავ ლმერთს,
რა წამს სამარიდან თავს ამოჰყოფთ და სააქაოს
ფეხს დადგამთ, იმ წამსვე ძალზე ინანებთ. ვთქვათ,
თქვენ მართლაც გაცოცხლდით. კეთილი და პატიო-
სანი. მაგრამ გაცოცხლების შემდეგ ამ სამარეში ხომ
ველარ დარჩებით?! რა თქმა უნდა, ყველა თქვენგანი
სახლისკენ გაეშურება. ძალიან კარგი. მიბრძანეთ
ახლა, მიგილებენ-კი სახლებში? გეფიცებით ზეცას,
მიხვალთ თუ არა თქვენ თქვენ სახლში, დაინახავთ, რომ
კარები მოხურულია. ეს, ვთქვათ, არათერია. თქვენ
აიღებთ ქვას ხელში და დაუწყებთ კარებს რახუნს,
რომ მოვიდენ და გაგილონ. აი გაიგონეს, მოვიდა
ვიღაცა კაცი, კარებს უკან აეყუდა და გეპითხება:
„ვინა ხარ? რა გნებავს?“ „გაალე კარი, მე ამ სახ-
ლის პატრონი ვარო“, — ეტყვით. „ჯანდაბას აქე-
დან! წაეთრიე, ჩვენ შენ ვერ ვიცნობთ!“ — ვიპასუ-
ხებენ. თქვენ ისევე განაგრძობთ: შე კაცო, როგორ
თუ ვერ მიცნობ. მე ქერბალა პასან კული ვარ. აქ
ცოლშვილი მყავსო“. ის კელავ გეტყვათ: „ბევრს
ნუ ლაპარაკობ! შენ აქ არავინ ვყავს. შენი ცოლი

შენმა ძმამ ჰაჯი ფერად-ალამ შეირთო, შეილიკეთ
ნახირში გაგზავნაო“.
ეჭ, ცხონებულებო! ვფიცავ
ყოვლად შემძლებელ ღმერთს, რომ არც ერთს თქვენ-
განს სახლში არ შეუშვებენ! რომელ სახლსაც არ
უნდა მიადგეთ, კარები დაკუტილი დაგხვდებათ.
შეევედრებით: „ღვთის გულისათვის კარი გამილეთ,
მე აქ ქმარი მყავს, ამ სახლის დიასახლისი ვარო“.
მაინც არ გაგილებენ და გეტყეიან: „ბევრს ნუ ლა-
პარაკობ, მოშორდი აქედან! როცა ამ ქვეყნად ცხრა
და ათი წლის გოგოები მოიპოვებიან, შენისთანა
ბებერი დიასახლისი რაში გვეჭირვება. შენი ადგილი
სამარეშია. გასწი ჯანდაბაში!..“ ჰა-ჰა-ჰა! (ცოტა ხნის
შემდეგ). მიცვალებულნო! კვლავ მოგმართავთ, ინებეთ
და აი ამ მთვრალ ისკენდერს გაუგონეთ. როგორც
აქამდე იყავით მოსვენებულნი ისე ამიერიდანაც ირ-
ჩიეთ აქ მოსვენებით ყოფნა. ღმერთმა სასუფეველი
დაგიმკეიდროთ!.. (ჯიბიდან ამოილებს არყოთ ბოთლს და
გადაჭრავს).

ფ ა რ დ ა.

მოქანდაგა მოოთხე

მოქანდაგა სწარმოებს ჰაჯი ჰასანის სახლში. სკენა წარმოადგენს ის-
კენდერის ოთახს, სადაც ჰაჯი ჰასანი და ქარბალა ფატიმე ხანუმ
სხედან და ლაპარაკობენ.

ჰაჯი შასან. შენ, ქალო ფატიმე, ნაზლი საპატარძლოთ
მოამზადე, დღეს უსათუოდ უნდა გადავიყვანოთ მოძ-
ლვრის ოთახში.

ქარბელაი ფატიმე. უიმე ჰაჯი, მაგას რას ამბობ! მერე, ასე
სასწრაფოდ?

ჰაჯი შასან. დიალ, დიალ, სასწრაფოდ...

ქარბელაი ფატიმე. ლმერთმანი, არ ვიცი, ჰაჯი, რა ვქნა...
მერე და ამ მოძლვრის საქმემაც სულ ერთიან გა-
მაშტერა. ვერ გამიგია, რას უშვრება ამდენ ქალებს.
ყოველ დღე თითოს ირთავს და ეხლაც ჩვენი ქილის
შერთვა უნდა...

ჰაჯი შასან. მერე დღეში თითო რომ შეირთოს, უკანო-
ნობა ხომ არ არის? ლმერთს ნება მიუცია და ირ-
თავს...

ქარბელაი ფატიმე. მართალს ამბობ, ჰაჯი, მაგრამ ვაითუ
ნაზლიმ აიტეხოს რამე. გარდა ამისა, ჰაჯი, ნაზლი
მართლაც ბავშვია...

ჰაჯი შასან. (გულმოსული). რას როშავ, ბავშვია თუ არა,
შენზე უკეთ ვიცი! ზიილ ჰეჯეს¹⁾ 18-ს სწორედ ცხრა

¹⁾ ზიილ ჰეჯე—მეთობაშეტე თვის სახელია.

წელიწადი შეუსრულდა და მეათეში გადადგასა მავ-
შვი არისო, რას ამბობ! სიტყვას ბანზე ნუ აგდებ.
პირდაპირ სთქვი: ნაზლი მირ ბააკერ-ალას უნდა მი-
ვცე-თქო. მორჩა და გათავდა!

ქერძელაი ფატიმე. არა, ლმერთმანი, არა? მირ ბააკერ-
ალაზე არ ვფიქრობ. შენი შეილია, ვისაც ვინდა
მიეცი, მაგრამ კარგათ ვიცი, რომ ნაზლი რამეს
აიტეხავს...

ჰაჯი შასან. აიტეხავს და აიტეხოს. ქალიშვილები ბრიყვები
არიან: მათ საიდან იციან, რა არის მათთვის ავი და
კარგი? ესეც არ იყოს, ისკენდერის დაი რა იქნება!
მადლობელი უნდა იყოს, რომ მოძლვარ ნესრულაპ-
სავით სათნო ადამიანი და ლვთის კაცი მისი ქმარი
შეიქნება. ასეთ დიდ ადამიანთან დამოყვრება ყვე-
ლას არ ხედება წილად! აბა ფატიმე, წადი და მოამ-
ზადე ნაზლი. (ფატიმე გავა, ჰაჯი თავს ჩალუნავს და
ფიქრს მოცემა. ისკენდერი შემოვა).

ისკენდერ. მამა ჩემო, როგორცა სჩანს, შენ უკვი გაგი-
უებულხარ!

ჰაჯი შასან. (გულმოსული). რას ტუტულობ, შე ბრიყვო, შე-
ნა! (ამა დაბლა) თუ სათქმელი გაქვს რამე, სთქვი,
მოვისმენ. ვნახოთ, რას იტევი...

ისკენდერ. ჩემი სათქმელი ის არის, რომ ფლიდმა და
გაიძერა მოძლვარმა თქვენი გონება სულ ერთიან
მოშხამა და შენც, დარწმუნებულს, რომ მას მართ-
ლა შეუძლია მიცვალებულთა გაცოცხლება, რაც
გაქვს და გაბადია, ყველაფერს სთავაზობ ამ ისპა-
პანელ გაიძერას...

ჰაჯი შასან. (ფიქრის შემდეგ)- ვთქვათ, მე გავგიუდი. მაშ მირ
ბააკერ-ალას, რომელიც თითონაც ბრძენ-მეცნიე-

რია, რად სჯერა მიცვალებოლთა მკედრეობით აღ-
დგომა? ისიც გავიედა? რად სჯერათ ჰაჯი ბენშ-
ალის, ჰაჯი ქერიმს, ჰაჯი ქიაზიმს და სხვებს? ყვე-
ლა ესენი გავიედენ? მხოლოდ შენა ხარ სრულ კუა-
ზე, არა?

ქერბელაი ფატიმე. (შემოვა). ჰაჯი, შენ ქალიშვილს ვერა შე-
ვასმინე-რა. იქნებ შენ თითონ მოელაპარაკო და
შთავონო რამ...

ჰაჯი ჰასან. (გულმოსული). ფატიმე ქალო! მაღლობა ლმერთს,
კარგა მიცნობ. თუ გული მომივიდა, თვალი დამიბ-
ნელდება. წადი, ეხლავე წადი და მოამზადე. ამ სა-
ლამოს უსათუოდ უნდა გადავიყვანო მოძღვრის ოთახ-
ში, (ფატიმე წასვლას აპირებს). გამიგონე: შენს ქალი-
შვილს უთხარი, თუ არ დათანხმებულა, მოვალ და
სულ გვერდებს ჩავუმტკრეც, გესმის? (ფატიმე გავა, ის-
კენდერი მამას დააშტრერდება, შემდევ მიბრუნდება, „ფური“-ო
იტყვის, დააფუროთხებს და გავა. ჰასანი გულმოსული გაედევ-
ნება, მაგრამ ისევ შემოვა). უჰ, შე წყეულო, შენა! შენი
დედის შემქმნელის გვაძი დაეგლიჯოს ძალლებს და
სამარიდან სამარეში გადაეთრიოს!....

პარველი ავადმყოფი. (ჟავარჯენშე დაყრდნობილი კვენესით და
ხველებით შემოდის ფერმქრთალი კაცი). ჰაჯი ჰასანს მიესალ-
მება). სელაამენ-ალერქუმ! ვაი ჩემო თავო, ფეხშე
დფომაც ალარ შემიძლიან! ჰაჯი-ალა, შენი შვილე-
ბის დღეგრძელობას, მიშველე რამე. ერთი წელიწა-
ლია, რაც სნეულება დამემართა და ვერ იქნა, თავი
ვერ დავალწიე. (ახველებს) აი აქ მკერდში მომივლის
ხოლმე უცბად ტკივილი და სუნთქვა მეხუთება. მოე-
ლი ლამეები ხეელისაგან არა მძინავს. (ახველებს). მი-
შველე, თქვენ ოჯახში შემოვიჭერ, შენ მფარველო-
ბას ველი. დიდებულმა მოძღვარმა ან სული უნდა

ამომართვას, რომ ამ ტანჯვას მოვრჩე, ან რამე წა-
მალი უნდა გამომინახოს. მოძღვარის ფეხებს ვენაცვა-
ლე, ერთი მოწყალე თვალით გადმომხედოს და მა-
შინვე მოვრჩები. ისე - კი არაფერი მიკირს... ერთი
ავგაროზი დამიწეროს და მომცეს. (ახველებს). ვაი,
ვაი სუნთქვა მეხუთება...

ჰაჯი ჰასან. ძალიან კარგი, ვთხოვ. ეხლა მოძღვარი ლო-
ცულობს და როგორც - კი დაასრულებს, თვითონ მე
მოვახსენებ, რომ როგორმე გიშველოს. ბატონი
ბრძანდებით...

პირველი ავადმყოფი. არ ვიცი, რა უბედურება შემემთ-
ხვა. ორი დღის წინათ თითქო კარგად ვგრძნობდი
თავს, ხელამაც მიქლო, მადა...

მეორე ავადმყოფი. (თავშეხვეული შემოვა, მიესალმება და პირ-
ველ ავადმყოფს სიტყვას გააწყვიტინებს). სეელამ-ალეიიქუმ
(პირველ ავადმყოფს) მეშპედ ჰუსეინ-კული, შენც აქა
ხარ! კარგი გიქნია მოსულხარ. ჩევნისთანა საბრა-
ლოების ხსნა ამ მაღლიან ოჯახზეა დამოკიდებული.
ღმერთმა ბიძია ჰაჯი ჰასანის ჩრდილი ნუ მოგვაკ-
ლოს! ჰაჯი ჰასან, თავის ტკივილმა გამათავა. მო-
სვენება არა მაქვს არც ლამე, არც დღე. მივალ და-
ლაქ ახვერდასთან, მეტყვის: სისხლი მოგმატებია,
უნდა გამოგიშვაო; წავალ მირ ბააკერ-ალასთან და
ის კიდევ მეტყვის: სისხლი დაგქლებია და თაფლის
ჰალვის მეტი სხვა არა ჭამო-რაო. ბიძია ჰაჯი! შენს
შვილებს შემოვევლე, მიშუამდგომლე მოძღვარის წი-
ნაშე, რომ თითის სისხლ (თითს უჩვენებს) შელოცვი-
ლი ნუსხა დამიწეროს. ბიძია ჰაჯი, სანამ ცოცხალი
ვარ... (ამ დროს ბ ვშეით ხელში მემოვის კაცი, ბავშვი ტი-
რის. ესეც ჰასანს მიესალმება და წინა მოლაპარაკეს სიტყვას
შეაწყვეტინებს. შემდევ შემოდიან სხვები: ზოგს თავი აქვს შე-

ხვეული, ზოგს—ცხვირი, ზოგს—მკლავი. შემოდიან თითო-თო-
თოდ, ობვრითა და კვნესით. ზოგი დასხვებიან, ზოგი დამწ-
კრივფებიან, ზოგი ჰაჯი ჰასანს ეხვეწება შველას).

ავადმყოფები. ბიძია ჰაჯი! შემოგეჭერით ოჯახში, და-
გვეხმარეთ, მოძლვარშა გვიშველოს რამე. მეტად
მწარე დღეებს განვიცდით, შეგვიბრალეთ!

ჰაჯი ჰასან. (მივა ავადმყოფებთან). ბატონი ბრძანდებით, რა-
საც შევიძლებ, არ დაეზოგავ. მაგრამ მოძლვარი ჯერ-
ჯერობით აქ შემოსვლის ნებას არავის აძლევს. ებ-
ლა ეზოში გაბრძანდით, ცოტა ხანს ჩრდილში მოი-
სვენეთ და როგორც-კი მოძლვარი ნებას დამრთავს,
ყველაფერს მოვახსენებ. მერე თქვენც შემოხვალთ
და აცნობებთ მოძლვარს, რაც გაწუხებთ. დარწმუ-
ნებული ვარ, ჩემი იჯახიდან იმედ გაცრუებული
არ გაბრუნდებით....

ავადმყოფები. (მაღლობით გადიან). ლმერთმა ჰაჯი ჰასან ბი-
ძია აცნობლოს! ლმერთმა მამა უცხონოს! შვალები
უდღეგრძელოს!..

ჰაჯი ჰასან. (კარებში მოსამსახურეს დაინახავს). ალი, მოძ-
ლვარს ჩაი და სხვა რამეები მიართვი?

ალი. არა, ბატონი! მოძლვარს სძინავს, არ ამდგარა.
ოთახის კარები ჯერაც დაკეტილია. (გავა, ქერბელიი
ფატიმე შემოვა).

ქერბელიი ფატიმე. ჰაჯი, ნაზლი, როგორც იქნა, დავიყო-
ლიე, მაგრამ იმდენს სტირის, რომ ლაშის სულ
დაოსდეს...

ჰაჯი ჰასან. (ფიქრის შემდგე). უთხარი ჩემს გოგონას, ნუ
სტირის. მე იმის ტირილს და მწუხარებას ვერ ვი-
ტან. წავიდეთ ერთად, მე თითონ გაეართობ და
დავითანამებ... (გადია).



ალი. (შემოვა. თან მოპყვება ორი მოხუცი დედაკაცი. შემდეგ თითო ირ-ირი შემოვა ოცამდე ჩადრში გახვეული დედაკაცი. ჩურჩი-ლით შემოდიან და კუთხში სხდებიან. ალი გავა. კ-რებში ჯელალ გამოჩნდება).

ჯელალ. (ტკბილეულს სჭამს. გაჩერდება კარებში და დედა-კაცებს შეჲყურებს. დედაკაცები განაბულნი და პირისახე ჩამო-ფარებულნი არიან. ჯელალი შეეყითხება). რად მოსულხარი-აქ? (დედაკაცები ჯერ ხმას არ ილებენ. შემდეგ ერთი დედაკა-ცი ნელის ხმით მიუგებს).

პირველი დედაკაცი. მოვედით, რომ მოძლეარმა ჩვენზე სიიღე დაიწეროს.

ჯელალ. რას ამბობ? (გაიცინებს. დედაკაცებიც სიცილს დაიწ-ყებენ).

მეორე დედაკაცი. მოძლეარს უნდა გავყვეთ ცოლებად! (ჯელალს კვლავ გაეცინება, მეორე გარეთ გავარდება. შემოდის მირ ბააკერ-ალა, მაგრამ დედაკაცებს რომ დაინახას, უკანე გაბრუნდება. შემდეგ ჩადრ წამოსხმული ქერბალა ფატიმე შე-მოვა და მირ ბააკერიც თან შემოჲყვება).

ქერბელი ფატიმე. (მირ ბააკერს). ალავ, გთხოვთ, დაბრძან-დეთ! (მირ ბააკერ დედაკაცებს ზერგს შეაქცევს და ისე დაჯ-დება. ქერბალა ფატიმე დედაკაცებთან მივა და ჩურჩიულით ელაპარაკება. შემდეგ მირ ბააკერს მიმრთავს). ალავ, ეს დაიკოები გთხოვენ, იშუამდგომლო მოძლერის წინა-შე, ღვთის სამადლო საქმე გასწიოს და ნება დარ-თოს ამ საბრალოებს, რომ მისი სახელი და გვარი ატარონ...

მირ ბააკერ-ალა. (თავდახრილი). ჩემს თავზე იყოს, მოვახსე-ნებ... უსათუოდ მოვახსენებ. ძალიან კარგი საქმეა. სწორეთ მაგისთანებს იმეგომრებს უფალი. ღმერთ-მა სიკეთე გადაუხადოს, მთვარე და ვარსკვლავი¹⁾ სწერია!

¹⁾ „ჯვარი გწერიალ“ – ასეთი აზრით ხმარისბენ,



ქერბელაი ფატიმე. ვინც რა უნდა სოქვას — ტყუილია, რომ
ბედის წერაა, ის მოხდება. ვინ ითიქმუმდა, რომ
ნაზღი ასე ჩქარა გათხოვდებოდა...

მირ ბააკერ-ალა. (გაოცებული). რომელი ნაზღი, თქვენი ნაზღი?
ქერბელაი ფატიმე. დიალ, ალავ! აბა რა ვიცი, ჰაჯი დლეს-
ვი ათხოვებს ნაზღის ჩვენ სტუმარზე...

მირ ბააკერ-ალა. (ეფრო გაოცებული). მოძლეარ ნესრულაპშე?
ქერბელაი ფატიმე. დიალ...

მირ ბააკერ ალა. მერე, დლესვე?

ქერბელაი ფატიმე. ლმერთმანი ალავ, ჰაჯისთან ვერა გა-
ვაწყე-რა. ვეუბნები: კაცო, ასე საჩქაროთ როგორ
იქნება-მეთქი, მაგრამ ვერას ვავხდი... გაოცებული
ეარ... (მირ ბააკერ-ალა თავს დახრის, ჯიბიდამ ცნორსახოცს
ამოილებს, სახეზე მიიფარებს და ტირილს დაიწყებს).

ჰაჯი ჰასან. (კარებში გამოჩნდება). ფატიმე, დაიკოები იქით
ოთახში გადაიყვანე, აქ მამაკაცები უნდა მოვიდენ.
(ფატიმე და დედაკაცები ადგებიან და მეორე ოთახში გავლენ.
ჰაჯი ჰასან და ისკენდერი შემოვლენ. ჰაჯი ჰასან დაჯდება,
ისკენდერი უეხზეა). ისკენდერ! ყური დამიგდე, შვილო,
რას გეტუვი! მირ ბააკერ-ალაც შინაური კაცია... შენ
კარგად იცი, როგორ უყვარხარ ნაზღის. ნუ მოი-
სურვებ, რომ დლევანდელ დლეს ჩვენს სახლში
ცრემლი დაილეაროს... მე ნაზღი დავითანხმე, რომ
მოძლეარს გაჰყენ... მაგრამ ტირილი ჯერაც არ
შეუწყვეტია. ამბობს: მე არ ვიცი, ისკენდერიც და-
თანხმდესო. გაგაფრთხილებ, დათანხმდები თუ არა,
ჩემთვის სულ ერთია, მე მაინც ჩემსას ვიზამ. შენ
იმდენი გიწყეინებია ჩემთვის, რომ მე კაცად ალარ
მიმაჩნიხარ. ეს შენ თითონაც იცი... მაგრამ თუ
გინდა, რომ ბავშვს გული არ გაუფუჭდეს, აქ დაუ-

ძახე და ტკბილად მოელაპარაკე. ეხლა შენ იცი.
 ჩვენ აქედან გავალთ. (ჰაჯი ჰასანი გავა. მირ ბააკერიც
 ტირილით გაჰყებდა. ისკენდერი ფიქრს მიეცემა. ნაზლი მეორე
 კარებში გამოიწინდება).

ნაზლი. (სიჩრუმის შემდეგ). ძმაო, მომეცი ნება, მოვიდე, გაკო-
 ცო! (ნაზლი მიიწევს, ისკენდერ სწრაფად წამოდგება, აღ-
 გილს გამოიცელის და უსიტყვად უცურებს ნაზლის). ძმაო,
 თუ ლმერთი გწამს, ჩემგან ნურაფერი გეწყინება!..

ისკენდერ. მეუბნები კიდეც—ნუ გეწყინებაო? მანდ გა-
 ჩერდი, ფეხი არ მოიცვალო! (კვლავ უცურებს. შემდეგ
 ჯიბიდან არყით ბოთლს ამოიღებს და მოიცუდებს, მაგრამ
 ნაზლი მოუარდება და არ აცილის დალევას. შექვეირებს) გამე-
 ცალე! (და ისე მოიქნევს, რომ ნაზლი იატაჭე დაეცემა.
 ისკენდერ განაგრძობს არყის სმას. ნაზლი წამოდგება და ტი-
 რილით კარებისკენ წავა. როცა ისკენდერი სმას გაათავებს,
 დაუძახებს) შეჩერდი, ნაზლი, რალაც უნდა გითხრა!
 არყის ბოთლს ჯიბეში ჩაიდებს. ხმა დაბლა მღერის და ცელ-
 ქობს). ნაზლი, მე ნუ მოგიკვდე, მოდი აქ, შევრიგ-
 დეთ. ეხლა, რაც გინდა, ის მითხარი, შენი მსახუ-
 რი ვარ..: მოდი, შევრიგდეთ!

შეშედი ოროჯ. (დაქანცული შემოვა. ხელში დეპეშა უჭირავს.
 რმა მაღლა). სად არის ჰაჯი ჰასან ბიძია? (ნაზლი მეო-
 რე ოთახში გაიქცევა. შემოვლენ ჰაჯი ბებშ-ალი, ჰაჯი ქაზიმ,
 ჰაჯი ქერიმ, შირ ბააკერ-ალა და სხვანი. ყველანი გაოცებულინი
 შეჰქურებენ ერთმანეთს. რა ქნან, არ იციან. ამ დროს შემო-
 დის ჰაჯი ჰასანიც და რომ დაინახავს გაკვირვებულ ხალხს
 თვითონაც გაოცდება).

ჰაჯი ჰასან. რა მოხდა, რა ამბავია?

შეშედი ოროჯ. (ტირილით). ბიძია ჰაჯი!.. ქერბალა ფეთ-
 ხელაპის გაცოცხლება ტყუილი გამოდგა...

ისკ-ნდერ. ჰა-ჰა-ჰა! (სიცილით გარეთ გავარდება).

ჰაჯი ჰასან. (შეშედი ოროჯი). რას ამბობ, კაცო?!. როგორ
 თუ ტყუილი გამოდგა?



შეკრებილი. დიალ, დიალ, ტყუილი გამოდგა!...
ჰაჯი ჰასან. ლვისის გულისათვის მაგას ნუ ამბობთ... შეუძლებელია და არც დავიჯერებ...

მეშვედი თროვი. ბიძია ჰაჯი, ლმერთმანი მართალია! აი ესეც დეპეშა. წაიკითხე და გაიგებ, რა სწერია. (დეპეშას აწედის, თან ჩოხის კალთით ცრემლებს იწმენდს). ბიძია ჰაჯი, გეხსომება ქერბალა ფეთხულაჭის წერილი, სადაც იგი ჩვენი მოძღვრის შესახებ იწერებოდა: მისი წყალობით გაცოცხლდი და მალე ჩამოვალო. როგორც იცი, ხოროსანში ჰაჯი მემედ-ალის დეპეშა გაუგზავნე. ვეკითხებოდი, რად დაიგვიანა ჩემია ძმამ ქერბალა ფეთხულაჭა-მეთქა. ეხლა მისგან დეპეშა მოვიდა: ხომ არ შეშლილხარ, განა მკვდარი კაცი კვლავ გაცოცხლდებაო...

ჰაჯი ჰასან. (გაშტერებული ართმეცს დეპეშას). როგორ? (ისკუნ-დერი კვლავ გამოჩენდება სიცილით). ჰაიდარ-ალა, მამა გიცხონდება, გაგვაგებინე—ეს რა დეპეშაა? წარმოუდგენელია, რომ ტყუილი გამოდგეს... ბავშვები ხომ არა ვართ... მოძღვარის სასწაულები ყველამ დაეინახეთ... აქ დეპეშაში რამე შეცდომა იქნება. **ხმები.** ლმერთმანი, ასეთი რამ შეუძლებელია! გონება მერყევა!..

ჰაიდარ ალა. (კითხულობს დეპეშას.) აქ შეცდომა არაფერია. მე გირჩევთ, ეს ამბავი თვით მოძღვარს აცნობოთ. ვნახოთ—რას იტყვის...

ხალხი. დიალ, დიალ, მართალს ბრძანებს, თვით მოძღვარს ვაჩვენოთ!

ჰაჯი ჰასან სირცხვილიც-კია ასეთი რამე ვეითხოთ მოძღვარს. მართალი ვითხრათ, მე მრცხვენია. გარწმუნებთ, ეს ამბავი სწორი არ არის. აქ რაღაც სხვა

ხელი ტრიალებს. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვე-
ტუნი...

ჰაჯი ბექშ-ალი. (ჰაჯი ქერიმის). ჰაჯი ქიარიშ-ალა! შენ უფ-
რო გამბედავი კაცი ხარ, შენ მოელაპარაკე მოძლ-
ვარს...

ჰაჯი ქერიშ. არა, არა, მე ასეთ შეცდომას ვერ ჩაეიდენ? (ჰაჯი ქაშიმის). ჰაჯი ქიამშ-ალა, შენ უფრო მოხერ-
ხებული ხარ...

ჰაჯი ქიაზიშ. მართალი გითხრათ, მე მაგ მოძლვრისა მე-
შინიან. ხომ დაინახეთ, რა ბრაზიანი კაცია. ისე
ყვირის, რომ ქვებიც-კი ინძრევიან...

მირ ბააკერ-ალა. (წინ გამოვა). შე კაცო, აქრაა მერე საში-
ში? მოძლვარი ნესრულაპ ხომ კაციჭამია არ არის?
გნებავთ, ეხლავე მივალ და ყოველივეს გადავცემ? (მოძლვრის ოთახისკენ წავა).

ხმები. ძალიან კარგი, ძალიან კარგი! გიცხონოს ღმერთ-
მა მამა!

ჰაჯი შასან. (დაედევნება). ალავ, თუ ღმერთი გწამს, მო-
რიდებულად იყაენ. ზრდილობიანად წარუდექ და
ისე მოახსენე, რომ მოძლვარი ნაწყენი არ დარჩეს.

მირ ბააკერ-ალა. (მოძლვრის ოთახის კარს თითოთ დააკაცუნებს).
შემდევ დააბრახუნებს, ბოლოს დაუძახებს). ბატონო მოძ-
ლვარო! ბატონო შეიხო!

ჰაჯი შასან. (კარების მახლობლად სდგას და შიშითა და კრძალ-
ვთ კვლავ მირ ბააკერ-ალას). მირ ბააკერ-ალა! მოდი ერ-
თი „ისთიხარეს“ ლოცვას შეუდგეთ. იქნებ მოძლ-
ვრის შეწუხება ალარ დაგჭირდეს... (მირ ბააკერ ყა-
რადლებას არ მიაქცეს და უფრო მაგრა დააბრახუნებს. ხალ-
ხი სულგანაბულია).

ისკენდერ. (უცებ გამოჩნდება, მივარდება და ფეხებით დაუშვებდება)
კარებს ბრაზუნს. კარები რომ გაიღება, შეშინებული ხალხი



შეკრებილნი. დიალ, დიალ, ტყუილი გამოდგა!...

ჰაჯი ჰასან. ლეთის გულისათვის მაგას ნუ ამბობთ... შეუძლებელია და არც დავიჯერებ...

მეშვედი ოროჯ. ბიძია ჰაჯი, ღმერთმანი მართალია! აი ესც დეპეშა. წაიკითხე და გაიგებ, რა სწერია. (დეპეშას აწედის, თან ჩობის კალთით ცრემლებს იწმენდს). ბიძია ჰაჯი, გეხსომება ქერბალა ფეთხულაჭის წერილი, სადაც იგი ჩვენი მოძღვრის შესახებ იწერებოდა: მისი წყალობით გაცოცხლდი და მალე ჩამოვალო. როგორც იცი, ხოროსანში ჰაჯი მემედ-ალის დეპეშა გავუგზავნე. ვეკითხებოდი, რად დაიგვიანა ჩემმა ძმამ ქერბალა ფეთხულაჭმა-მეთქა. ეხლა მისგან დეპეშა მოვიდა: ხომ არ შემლილხარ, განა მკუდარი კაცი კვლავ გაცოცხლდებაო...

ჰაჯი ჰასან. (გაშტერებული ართმევს დეპეშას). როგორ? (ისკენ-დერი კვლავ გამოჩნდება სიცილით). ჰაიდარ-ალა, მამა გიცხონდება, გაგვაგებინე—ეს რა დეპეშაა? წარმოუდგენელია, რომ ტყუილი გამოდგეს... ბავშვები ხომ არა ვართ... მოძღვარის სასწაულები ყველამ დაეინახეთ... აქ დეპეშაში რამე შეცდომა იქნება. **შმება.** ღმერთმანი, ასეთი რამ შეუძლებელია! გონება მერყევა!..

ჰაიდარ ალა. (კითხულობს დეპეშას.) აქ შეცდომა არაფერია. მე გირჩევთ, ეს ამბავი თვით მოძღვარს აცნობოთ. ვნახოთ—რას იტყვის...

ხალხი. დიალ, დიალ, მართალს ბრძანებს, თვით მოძღვარს ვაჩვენოთ!

ჰაჯი ჰასან სირცხვილიც-კია ასეთი რამე ვკითხოთ მოძღვარს. მართალი გითხრათ, მე მრცხვენია. გარწმუნებთ, ეს ამბავი სწორი არ არის. აქ რაღაც სხვა

ხელი ტრიალებს. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვი-
ტუვი...

პაჯი ბეჭ-ალი. (პაჯი ქერიშის). პაჯი ქიარიშ-ალა! შენ უფ-
რო გამბედავი კაცი ხარ, შენ მოელაპარაკე მოძლ-
ვარს...

პაჯი ქერიშ. არა, არა, მე ასეთ შეცდომას ვერ ჩავიდენ? (პაჯი ქიაზიშის). პაჯი ქიაზ-ალა, შენ უფრო მოხერ-
ხებული ხარ...

პაჯი ქიაზიშ. მართალი გითხრათ, მე მაგ მოძლვრისა მე-
შინიან. ხომ დაინახეთ, რა ბრაზიანი კაცია. ისე
ყვირის, რომ ქვებიც-კი ინძრევიან...

მირ ბააკერ-ალა. (წინ ვამოვ). შე კაცო, აქრაა მერე საში-
ში? მოძლვარი ნესრულაპ ხომ კაციჭამია არ არის? გნებავთ, ეხლავე მივალ და ყოველივეს გადავცემ? (მოძლვრის ოთახისკენ წავა).

ხმები. ძალიან კარგი, ძალიან კარგი! გიცხონოს ღმერთ-
მა მაშა!

პაჯი შახან. (დაედევნება). ალავ, თუ ღმერთი გწამს, მო-
რიდებულად იყავი. ზრდილობიანად წარუდექ და
ისე მოახსენე, რომ მოძლვარი ნაწყენი არ დარჩეს.

მირ ბააკერ-ალა. (მოძლვრის ოთახის კარს თითოთ დააკაკუნებს). შემდეგ დააბრახუნებს, ბოლოს დაუმახებს). ბატონო მოძ-
ლვარო! ბატონო შეიხო!

პაჯი შახან. (კარების მახლობლად სდგას და შიშითა და კრძალ-
ვით კვლავ მირ ბააკერ-ალას). მირ ბააკერ-ალა! მოდი ერ-
თი „ისთიხარეს“ ლოცვას შეუდგეთ. იქნებ მოძლ-
ვრის შეწუხება ალარ დაგჭირდეს... (მირ ბააკერ ყუ-
რადლებას არ მიაქცევს და უფრო მაგრა დააბრახუნებს. ხალ-
ხი სულგანაბულია).

ისკენდერ. (უცემ გამოჩენდება, მიეარდება და ფეხებით დაუშუებ-
არებს ბრახუნს. კარები რომ გაიღება, შეშინებული ხალხი



გარეთ გაიკრიბება. გამოჩენდება მოძღვრის ოთახი. მოძღვარი არა სჩანის. ისკენდერი იქ არის და ყოველ კუთხეს ათვალიერებს. ისკენდერი ყურადღებას მიაქცევს უკანა კედელთან ჩამოფარებულ ფარდას და გაეშერება იქით. როცა ფარდას გადაბდის, გამოჩენდება სამი პატარა გოგო, რომელიც ტარილს მორთავენ. ისკენდერი შეეკითხება): სად, არის მოძღვარი? (ბავშვები ჲასუბს არ იძლევიან და ტარილს განაგრძობენ. ისკენდერი ფარდას ჩამოუშვებს და კვლავ დაათვალიერებს ოთახს, მაგრამ რომ ვერავის ნახავს, ხელახლა მიმართავს გოგოებს). მაში სად წაიკიდენ სტუმრები?

პირველი გოგო. (ტირილით). გათენებისას ნივთები მოაგროვეს და გვითხრეს, ჩვენ ეხლა აბანოში მიედინართო. (ზალზი თანდათან ისევ შეგროვდება. ისკენდერი განიუმებულია და ფიქრში გართული. ამ დროს გარედან აურზაურის ხმა მოისმის. ცოტა ხნის შემდეგ პირველ ოთახში შემოეა სამი შეიარაღებული და მტკერში ამოსერილი უცნობი).

პირველი უცნობი. სად არიან მიცვალებულთა გამცოცხლებელნი? (ოთახში არეულობაა. ისმის გოგოების ტირილი, ხმები: „გაპარულან“, „როგორ გაპარულან?“ „რა დროს გაპერულან?“ რამდენიმე კაცი მოძღვრის ოთახში ბავშვებს ამშვიდებს. პირველი უცნობი მიმართავს ხალსს) ძმებო მუსლიმანებო! დაწყნარდით, ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი. გთხოვთ მომისმინოთ! ჩვენ ირევნის ოლქიდანა ვართ. როგორც ეტყობა, თეირანელ თვალთმაქცებს და არამშადებს აქაც იგივე გაუმეორებიათ, რაც ჩვენში ჩაიდინეს. თავიანთი თავი მუშთეიდებად მოგვაჩენეს. ოთხ დღეს დარჩნენ ჩვენს ქალაქში, სვეს, ჭამეს, ყოველ ღამეს თითო გოგო შეირთეს, შემდეგ ქაბინ დაწერილები მიატოვეს და გაიქცნენ. სწორეთ განკითხვის დღეა... დაგვეხმარეთ, გვითხარით—რომელი გზით წაიკიდნენ? (ფარდის უკან მოქცეული გოგოები კვლავ ტირილს იწყებენ. რამდენიმე კაცი მდევრებს გაჰყვება. წინ სირბილით მიზ ბააკერ გაუძლევება).

მირ ბააკერ აღა. (ხმა მალლა). აბა ჩქარა! ნუ გაჩერებულებართ, ჯულფის გზით დავედევნოთ! ქერბალა ჰასან, მეშვეობ ჯაფარ-ალი, ჰასან-ჯული, აბა შესხედით ცხენებზე, გავუდგეთ გზას და შეეიპყრათ ის მგზავრები...

ისკენდერ. (მოძღვრის ოთახში დფას და იმურებს მდევრის სიტყვებს). „უკველ ლამეს თითო გოგო შეირთეს, შემდეგ ქაბინ დაწერილები მიატოვეს და გაიქცნენ“... ჰა-ჰა-ჰა! (დაფიქრდება. შემდევ გოგოებისაკენ მიიბრუნებს სახეს. კვლავ დატიქრდება. მერე მორჩე ოთახში მყოფ მიმართავს) აქ შემოდით, აქ, აქ... შემოდი, ჰაჯი ქიაზიმ, შენც შემოდი, ჰაჯი ბებშ-ალი, უკელანი შემოდით, უკელანი, შენც, შენც! (ცველას თავს მოუყრის მოძღვრის ოთახში და მერე მიმართავს). ეხლა ჯერი ჩემია... ყური დამიგდეთ, ორიოდე სიტყვას მეც გეტყვით. (ცველა წყნარად დფას. ისკენდერი მალალი ხმით) გააქრეთ სანთლები! (ოთახი ცოტა დაბნელდება. მივაუყანა კედელთან, ფარდას ჩამოვლებს და კუთხეში მიაგდებს. გოგოებს შერცხვებათ, სახეზე ხელებს მიიფარებენ და ტირილს დაიწყებენ). შეხედეთ! აბა კარგად შეხედეთ ამას! თქვენს საისტორიო წიგნში ეს სამარცხვინო და სისხლიან ფურცლად ჩაიწერება. თქვენი მომავალი თაობა ამ წიგნის გადაფურცლის დროს მოიგონებს თქვენს საქციელს და იტყვის: „ვაი სირცხვილო, ფური იმათ სახელს!“ (გადააფურთხებს ხალშისკენ. ცველა თავს დახრის, მაგრამ ხმას არ ამოილებს). მაპატიეთ მთერალ ისკენდერს, რომ ცოტა უზრდელად მოგექეცით... (ხალში კვლავ თავს ასწევს). მაგრამ ეხლა ჯერი ჩემზეა... მე არ გვეითხებით, ეს ბავშვები (მიუთითებს) ამ საროსკეიპოში რად მოიყვანეთ-მეთქი. თქმა არ უნდა, როცა ამათ ეუბნებოდით, მოძღვარს უნდა მიგართ-

ვათო, ეს საბრალოები ცრემლების ფრქვევით თქვენ
 ჭუჭყიან ფეხებს კოცნიდენ და გემუდარებოდენ: „მა-
 მა ჩემო, შემიბრალე, დედას ნუ მომაშორებო..“.
 (მიბრუნდება გოგოებისაკენ) არა, პატარებო, განა ასე
 არ იყო? მართალს არ ვაშბომ? (ისევ შეუჩებილი) დიალ.
 მე ეს არ მწყენია, იმიტომ რომ როცა თქვენ ამ
 გოგოებს აქ მოათრევდით, გევონათ, სამოთხეში
 მიგვყავსო, ვინაიდან ისპაპანელმა ვითომდა მოძლ-
 ვარმა დაგარწმუნათ, რომ ვინც ამ წმინდა და მად-
 ლიან ოთახში ფეხს შემოდგამს, ის სიკედილის შემ-
 დეგ განკითხვის დღემდე ანგელოზებთან ტკბილ მუ-
 საიფში გაატარებსო. მაგრამ როცა მოძლვარმა ნეს-
 რულაპერა მიცვალებულთა გაცოცხლების და მათი
 მკედრეთით აღდგომის საქმე თქვენ წინაშე საჯა-
 როთ დასვა, თქვენ, დიალ თქვენ, სამარის სარქმ-
 ლიდან ანგელოზების მაძიებლებმა, რატომ არ ინე-
 ბეთ თქვენი გარდაცვლილი ძმების, დების და ცოლ-
 შვილის გაცოცხლება? გეკითხებით, რატომ არ მო-
 ისურვეთ მათი გაცოცხლება? იმიტომ რომ თქვენ
 თქვენი ცოლები ცემით მოპყალით, იმიტომ რომ თქვენ
 თქვენი ძმების მეუღლეები ცოლებად შეირთეთ, იმი-
 ტომ რომ თქვენ თქვენი გარდაცვლილი მეგობრების
 ობლების ქონება მიითვისეთ და შესკამეთ; არ ინე-
 ბეთ, გემინოდათ, გაცოცხლებული გარდაცვალებუ-
 ლები არ მოსულიყვნენ და არ ეთქვათ თქვენთვის: ..ფუი თქვენ სახელსაო..“ (კელავ გადააფურთხებს. ყველანი
 თავს დახრიან). არ იფიქროთ, მე ჩემ თავს ვადიდებ-
 დე და თქვენ გამცირებდეთ! არა, სრულიადაც არა!
 მე ვიცი, რომ არარა ვარ, არარა. მაგრამ მე მინდა,
 თქვენც გაიგოთ და იცოდეთ — ვინა ხართ და რანი

ხართ! მე მოვრალი ისკუნდერი მეწოდება. თქვენი...
 აახელი? თქვენ რაღა გეწოდებათ? ვიწვევ მთებს,
 კლდეებს და ტყეებს, ცხოველებს და ფრინველებს, მზეს,
 მთვარეს და ვარსკვლავებს, ვიწვევ მთელ სამყაროს
 და ვეკითხები, შეხედონ ამ ბავშვებს და სთქვან —
 რა სახელი უნდა გეწოდოთ თქვენ, აი აქ შეკრებილ
 ხალხს? უაპველია, ყველა ერთხმად იტყვის, და ზედ-
 გამოჭრილიც იქნება, რომ თქვენ „მიცვალებულნი“
 ხართ. დიალ, „მიცვალებულნი“ ხართ! ვიწვევ მთე-
 ლი ქვეყნის ერებს — მობრძანდენ და მოძლვრის ნეს-
 ტულაპის ჰარამხანა იხილონ! ეჭვი არ მებადება, რომ
 ისინიც, ყველა ერი და ხალხი, ერთხმად იტყვის
 თქვენზე — „მიცვალებულნიო“. მომავალი თაობა?
 თქვენი მომავალი თაობა? ყოველთვის, როდესაც — კი
 მას გაახსენდებით, მწუხარებით გაიმეორებს: „მი
 ცვალებულნი“, „მიცვალებულნიო“... ეხლა მოდით
 და წაუყვანეთ ეს ბავშვები თავიანთ დედებს! (მა-
 მალლა) დააქრეთ სანათურები! (ოთახში უფრო და-
 ნელდება, ისკუნდერი ერთ გოგოს მოპიდებს ზელს.) ეს ვისი
 ბავშვია? (ერთი კაცი გამოვა და გაჩერდება). შენია? აბა
 წაიყვანე! (კაცი ზელს მოპიდებს ბავშვს, რომელიც ტირი-
 ლით გაჰყვება). ეს ვიღას ბავშვია? (გადასცემს ხალხიდან
 გამოსულ მეორე კაცს. ბავშვი ამასაც ტირილით გაჰყვება).
 ვინ არის მესამე ბავშვის ჰატრინი? (გადასცემს მტი-
 რალ ბავშვს მესამე კაცს. ისკუნდერი ხალხისკენ მობრუნდება,
 ცოტას შეჩერდება, მერე ჯიბიდან ბოთლს ამოილებს, მოიუწ-
 დებს; გამოსცლის და ცარიელ ბოთლს იატაჭე ხალხის წინ
 დააგდება. ფარდა ნელი-ნელ დაეშვება).

၁၃၆၀ ၄၀ ၂.



7 ၇/၁၀၉



